

ეპიკური საქართველო

ISSN 1987-8729



სამეცნიერო-საინჟინერო ჟურნალი

№7 (51), ივლისი, 2015



- ენთომოლოგიის ლაბორატორია
- ფიტოპათოლოგიის ლაბორატორია
- მელეკოლური ბიოლოგიის ლაბორატორია

სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს
ლაბორატორია ძ. თბილისი, ვ.გოძიაშვილის №65
(995 32) 2 53 0968
www.lma.gov.ge





MASSEY FERGUSON



Challenger



 **AGCO**
Your Agriculture Company

ოფიციალური დილერი
WORLD TECHNIC
საქართველო გეოგრაფიკა
www.worldtechnic.ge E-mail: info@worldtechnic.ge
☎ 2 90 50 00; 2 18 18 81

ასკა

ASCA

ახალი აგრარული

საქართველო

AKHALI AGRARULI SAQARTVELO

(New Agrarian Georgia)

ყოველთვიური სამეცნიერო-

საინფორმაციო ჟურნალი.

Monthly scientific-informative magazine

ივლისი, 2015 წელი.

№7 (51)

სარედაქციო კოლეგია:

შოთა მაჭარაშვილი (მთ. რედაქტორი),
ნუგზარ ებანოიძე, რეზო ჯაბნძე, მიხეილ
სოხაძე, თამარ სანიძე, ნოდარ ბრეგვაძე,
ბექა გონაშვილი, გიორგი ბარისაშვილი
(მეცნიერება-მედიკინის რედაქციის
რედაქტორი), თამთა გუგუშვილი (ინგლ.
ვერს. რედაქტორი).

editor of English version Tamta Gugushvili

სამეცნიერო საბჭო:

აკადემიკოსები, მეცნიერებათა
დოქტორები, პროფესორები:
რევაზ მახარაშვილი (თაქჯდომარე),
გურამ ალექსიძე, ზაურ ფუტყარაძე,
ნოდარ ჩხარტიშვილი, ნუგზარ ებანოიძე,
პაატა კოლუაშვილი, ელგუჯა შაფაქიძე,
შოთა ჭალაგანიძე, ზვიად ბრეგვაძე,
ელგუჯა გუგუშვილი, ლევან უჯმაჯურიძე,
ზაურ ფულუხიძე, ზურაბ ჯინჯიხაძე,
ქრისტო კახიასვილი, ადოლ ტყეშელაშვილი,
ნატო კაბაძე, კუკური ძერია, კახა ლაშხი,
ომარ თევდორაძე, ჯემალ კაციტაძე,
ნუგზარ სარჯველაძე, თენგიზ ყურაშვილი,
ზურაბ ლოლაძე, კობა კობლაძე.

გამომცემელი:

„აგრარული სექტორის

კომპანიების ასოციაცია“ (ასკა);

Association of Agrarian Sector Companies (ASCA).

საქართველოს რეგიონული ეკონომიკური
პრიორიტეტების კვლევითი ცენტრი „რეგიონიკა“;

Regionica — Georgian Research Center for Regional
Economic Priorities.

რედაქციის მისამართი:

თბილისი (0114), გორგასლის ქ. № 51/53

ტელ/тел: +995 (032) 2 90-50-00

599 16-18-31

Tbilisi (0114), Gorgasali str. №51/53

www.regionica.org/journal.html

ელ-ფოსტა: agroasca@gmail.com

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

„ივერიელი“

(ციფრული ბიბლიოთეკა)

www.dspace.nplg.gov.ge

ახალი აგრარული საქართველო

დააკაბდონა გიორგი მაისურაძემ

ჟურნალი ზეღმძღვანელობს
თავისუფალი პრესის პრინციპით.
The journal acts in accordance with
the principles of free press.

© საავტორო უფლება დაცულია.
All rights reserved.

რეფერირებადია 2011 წლიდან

დაიბეჭდა შპს „გამომცემლობა გრიფონში“

WORLD TECHNIC
საერთაშორისო ტექნიკა

www.worldtechnic.ge

გამომცემი ქრანული „ახალი აგრარული საქართველო“
პრესის გამომცემის საზღვარსაღი:

„ელპაჯი“ ტელ.: (032) 2-38-26-73; (032) 2-38-26-74);

„საქპრესა“ (0 (32) 2518518).

1 წლით ჟურნალის გამოცემა ღირს 24 ლარი,
6 თვით – 12 ლარი.

ნომერი წაიკითხეთ:



7

აგრონომიების პარალიზება
და სოფლიდან გლეხების აყრა
უნდა შეჩერდეს!

ასეთი მოდელით უნდა ჩამოყალიბ-
დეს სოფელ დარჩელის თხილის პრო-
დუქციის მწარმოებელი კოოპერატივი.



15

გოსბნეულის გავრცელება და
მათთან ბრძოლის ხარჯები

ამ სტატიაში გაეცნობით კიტრის,
პამიდვრის, ნივრის და ხახვის მავნე-
ბელი დაავადებებსა და მათთან ბრძო-
ლის მეთოდებს.



29

ახალი ტექნოლოგიები
მეაგრარული მეურნეობაში

თუთის აბრეშუმხვევის გამოსა-
ვები მოწყობილობა შედგება ჩარჩო-
საგან, რომელზედაც დამაგრებულია
ბადისებური ტიპის გამოსაყვები ზე-
დაპირები.

4

საქართველოში ფარმაცია 170

ათას ბონა სოკრას პოლიტიკა

4

სოკრას სადამონებრასიო

ნაქვეთი უიარაჟი

11

გვინდა დარგის განვითარება? -
შევემნათ ბაქონარაჟი

14

განმოდინიერებაჟი სურსათის
ნიშანდგა

17

მეფუტაჟი კოოპერატივებს სჟაბს
უფასოდ გადსცემენ

18

გადსაბჟირთი მემნიშნასი
მარცხელულის წარმოების
რანგბაჟოლის განსაზღვრულად

19

როგორ მდგომარეობაჟი
რეგიონებში აგროსანიშნირო
დარგო

20

ვეროულ პრესტიჟულ
სამეცნიერო ფორუმჟი

21

სწორი აგრარული პოლიტიკა
წარმავების გარანტია

25

ბრუსელოში ადამიანისათვის
საშიში დაავადება

27

ამოლოგიურად უსაფრთხო
კუთხე-ორგანული სასუჟი
„აბროჟიტა“

31

ფრინველის გამოზრდა
საქარმიდამო ფარმაციაჟი ტიპის
მეურნეობაჟი

34

როგორ შევემნიერთ საქვეჟი
ნიშანდგაჟი და ნიშანდგაჟი

34

ბუნების სანიტარი

ჟურნალი „ახალი აგრარული საქართველო“ რეფერირებაჟი 20011 წლიდან.



საქართველოში ფერმერები 170 ათას ტონა ხორბლის მოსავალს ელოდებიან

წლეულს საქართველოში ხორბლისა და ძირის სარეპორდო მოსავალს ელოდებიან. შარშანდელი გვალვიანი წლის შემდეგ ზომიერა ზამთარმა და ნალექიანმა გაზაფხულმა მარცვლოვან კულტურებს საუკეთესო პირობები შეუქმნა და შედეგად შესაბამისია.

კახეთის რეგიონში წლეულს ხორბალი, როგორც ოფიციალური წყარო იტყობინება, 35 ათას ჰექტარამდე ფართობზე დათესილი. გასულ წლებთან შედარებით ქვეყანაში მარცვლეულის უხვი მოსავალი მოვიდა. წინასწარი მონაცემებით კახეთში – 120 ათასი, ხოლო მთლიანად ქვეყანაში – 170 ტონა ხორბლის აღებას ვარაუდობენ.

შირაქისა და ტარიბანის ველებზე ქერის საშუალო მოსავლიანობა 1 ჰექტარზე დღეს 40 ცენტნერამდე მერყეობს, ზოგიერთ ნაკვეთზე, განსაკუთრებით ალაზნის მიმდებარედ, ქერისა და ხორბლის მოსავალმა ჰექტარზე 70 ცენტნერს გადააჭარბა. როგორც ფერმერები ამბობენ, შირაქის ველზე უკეთეს მოსავალს ვარაუდობდნენ, მაგრამ პურის ყანის სიმწიფის ფაზაში

შესვლის პერიოდში დაჭერილმა გვალვამ მოსავალი მნიშვნელოვნად შეამცირა და წელს ჰექტარზე საშუალოდ სამი ტონა თუ მოვიდა, კარგი შედეგი იქნება. როგორც ვთქვი, ბოლო ათწლეულია ქვეყანაში საშემოდგომო თავთავიანი კულტურების ასეთი უხვი მოსავალი არ მიუღიათ. შარშან ქვეყანაში 50 ათას ტონამდე ხორბალიც არ გალენილა, არც შარშანწინ იყო უკეთესი მდგომარეობა. წლევიანდელი წელი კი უხვმოსავლიანობით გამოირჩეულია. მეხორბლე ფერმერებს მოსავლის დაბინავებაში რომ პრობლემები არ შეექმნათ, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს ხორბლისა და პურპროდუქტების მწარმოებელთა ასოციაციის „გლობალ აგროს“

ინიციატივით, ქვეყნის მასშტაბით მოქმედი ნისქვილკომბინატების წარმომადგენლებთან უკვე გაიმართა შეხვედრა.

ასოციაციის ხელმძღვანელის განცხადებით, ქვეყნის მასშტაბით არსებული ნისქვილკომბინატები სრულ მზადყოფნაშია შეისყიდონ ხორბლის მოსავალი და ამით ფერმერებს პროდუქციის რეალიზაციაში შეუწყონ ხელი.

თუმცა ზოგიერთი ფერმერი წუხს, რომ ნისქვილკომბინატები კილოგრამ ხორბალში 35-38 თეთრს სთავაზობენ, მაშინ როცა მესამე კატეგორიის ხორბლის ფასი ბაზარზე 45 თეთრს აჭარბებს. როგორც ჩანს, მავანი შექმნილი ვითარებით სარგებლობს და სპეკულაციური ფასით თამაშობს.

იმედია რომ წლევიანდელი ალოობა წარმატებული იქნება და იგი ქვეყანაში მემარცვლეობის აღორძინებას დაუდებს სათავეს.

USAID/REAP

ხორბლის სადამონსტრაციო ნაკვეთი შირაქში

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ევოლუციური პროექტის ადგილობრივი USAID/REAP პროექტის მხარდაჭერით დღევანდელს შირაქის ველზე ფერმერ ზურაბ თეთვაძის ნაკვეთში 2014-2015 წლებში ტრადიციული, მინიმალური და ნულშეფერავი დაგეგმვის ტექნოლოგიით ხორბლის მოყვანის პროექტი განხორციელდა.

გასული წლის 30 ოქტომბერს 6 ჰექტარ ფართობზე ხორბლის სხვადასხვა ჯიშები: ჯაგერი; ამბელო; პრემიო; ასანო; ლავერდა; გრომი; ტანია; რენანი; ნავერტა ტრადიციული, ნულშეფერავი და მინიმალური დამუშავების მეთოდით დაითესა. გაზაფხულზე, როგორც ტექნოლოგიითაა განსაზღვრული, ნაკვეთები დამუშავდა მცენარეთა დაცვის საშუალებებით.

2015 წლის 3 ივლისს შირაქში სა-

დამონსტრაციო ნაკვეთზე მორიგი სავსე დღე გაიმართა, რომელშიც ადგილობრივ ფერმერებთან ერთად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის სტუდენტებიც მონაწილეობდნენ. სავსე დღის მონაწილეებს მიესალმა საქართველოში პროექტის ხელმძღვანელი ბატონი ლუის ნავარო.

ინდემნარმე ზურაბ თეთვაძემ მსმენელებს მოკლედ გააცნო განხორცი-

ელეზული პროექტის შედეგები და ისაუბრა ნიადაგის მინიმალური და ნულოვანი დამუშავების სამანქანო ტექნოლოგიებზე, მათ უპირატესობაზე.

როგორც ბატონმა ზურაბ თეთვაძემ აღნიშნა:

– საქართველოში ტრადიციად ქცეული ნიადაგის ტოტალური ხვნა (კონვენციური მინათმოქმედება) უარყოფითად მოქმედებს ნიადაგის ნაყოფიერებაზე, რადგან სახნავი ფენის ხშირი გადაბრუნება და გაფხვიერება იწვევს მის დეგრადაციას, ჰუმუსის მინერალიზაციას, ხოლო ფერდობის პირობებში ეროზიული პროცესების განვითარებას.

– აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთ გზას წარმოადგენს ისეთი ტექნოლოგიების დანერგვა, რომლებიც იძლევა საშუალებას მოვახდინოთ ნიადაგის დაკარგული ნაყოფიერების აღდგენა, ამავდროულად გავზარდოთ მოსავლიანობა და შევამციროთ ენერგოდანახარჯები წარმოებული პროდუქციის ერთეულზე.

– ამჟამად განვითარებული სოფლის მეურნეობის ქვეყნებში დამკვიდრებულია ტექნოლოგიები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ არა მარტო ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიების შემცირება, არამედ მიწის ეფექტური გამოყენება, ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენა და გაზრდა, მისი დაბინძურების ლიკვიდაცია და საერთო დარღვეული ეკოლოგიური წონასწორობის აღდგენა.

– ასეთი ტექნოლოგიის ერთ-ერთ კერძო სახეს წარმოადგენს ნიადაგის მინიმალური დამუშავების ტექნოლოგია (Mini-till). იგი ითვალისწინებს: ღრმა ძირითადი დამუშავების შეცვლას მცირე სიმაღლეზე დამუშავებით; სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის ქიმიური მეთოდების გამოყენებით ძირითადი, თესვისწინა, რიგთაშორისების დამუშავების რიცხვის შემცირებას; კომბინირებული აგრეგატების გამოყენების გზით რამდენიმე ტექნოლოგიური ოპერაციის შეერთებას; საანეულო მინდვრების მექანიკური დამუშავების შეცვლას ქიმიური დამუშავებით; მინდვრის მხოლოდ იმ მწკრივების დამუშავებას, სადაც ხდება დათესვა.

– ნიადაგის დამუშავების „ნულოვანი ტექნოლოგიის“ („No-till“) გამოყენებისას ნიადაგის დამუშავება ფაქ-



ტიურად არ ხდება. არსებული სარეველები ნადგურდება ისეთი ქიმიური საშუალებებით, რომლებიც უარყოფითად არ იმოქმედებენ ნიადაგის მიკროფლორაზე. აღნიშნული ტექნოლოგიის ეკონომიკური ეფექტურობის

გამო მრავალი ქვეყანა მთელი რიგი კულტურების წარმოებისას გადავიდა მოუხნავად თესვის სისტემებზე იმ სათესი კომპლექსების გამოყენებით, რომლებსაც ამზადებენ მსოფლიოს წამყვანი ფირმები.

მოგების ანგარიში საშემოდგომო ხორბლის ტრადიციული მეთოდებით მოვლა-მოყვანისას (ერთეული: 1 ჰა)

შემოსავლები:				
	რაოდენ. ტონა/ჰა	ერთეული	ფასი ლარი/ტ	სულ თანხა ლარი/ჰა
ხორბლის მოსავალი	4,0	ტ	0,5	2 000
ნამჯის პრესი	100,0	ცალი	1,5	150
სულ შემოსავალი				2 150

დანახარჯები:					
№	ტექნოლოგიური პროცესის დასახელება	რაოდენობა /ჯერადობა	ერთეული	ფასი ლ/ერთ.	ხარჯები სულ ლარი/ჰა
	1	2	3	4	5
1	ნიადაგის მოხვნა	1	-ჯერ	115,0	115
2	ხნულის დადისკვა/კულტივაცია	1	-ჯერ	55,0	55
3	მინერალური სასუქის შეძენა (NP)	200	კგ	1,1	220
4	სასუქის შეტანა	1	-ჯერ	15,0	15
5	თესლის შეძენა	250	კგ	1,00	250
6	სათესით დათესვა	1	-ჯერ	35,0	35
7	მღრნელების საწინააღმდეგო	1	-ჯერ	10,0	10
8	მღრნელების საწინ. პრეპარ. შეტანა	1	-ჯერ	10,0	10
9	ამონიუმის გვარჯილა	200	კგ	0,9	180
10	ამონიუმის გვარჯილის შეტანა	1	-ჯერ	15,0	15
11	ჰერბიციდის შეძენა	1	ლტ	50,0	50
12	ჰერბიციდის შეტანა	1	-ჯერ	25,0	25
13	მოსავლის აღება	1	-ჯერ	90,0	90
14	ტრანსპორტირება	1	-ჯერ	80,0	80
15	შრომის დანახარჯები	1	კაც-დღე	50,0	50
16	წყლის გადასახადი	1	-ჯერ		0
17	მიწის გადასახადი	1	-ჯერ	87,0	87
18	გაუთვალისწინებელი ხარჯები	5%			64
სულ ხარჯების ჯამი					1 351
მოგება, ლარი/ჰა-წელი					799

შემოსავლები:				
	რაოდენ. ტონა/ჰა	ერთეული	ფასი ლარი/ტ	სულ თანხა ლარი/ჰა
ხორბლის მოსავალი	4,0	ტ	0,5	2 000
ნამჯის პრესი	100,0	ცალი	1,5	150
სულ შემოსავალი				2 150

მოგების ანგარიში საშემოდგომო ხორბლის მინიმალური მეთოდით
მოვლა-მოყვანისას (ერთეული: 1 ჰა)

დანახარჯები:					
№	ტექნოლოგიური პროცესის დასახელება	რაოდენობა /ჯერადობა	ერთეული	ფასი ლ/ერთ.	ხარჯები სულ ლარი/ჰა
	1	2	3	4	5
1	ხნულის დადისკვა/კულტივაცია	1	-ჯერ	55,0	55
2	მინერალური სასუქის შეძენა (NP)	200	კგ	1,1	220
3	სასუქის შეტანა	1	-ჯერ	15,0	15
4	თესლის შეძენა	250	კგ	1,00	250
5	სათესით დათესვა	1	-ჯერ	35,0	35
6	მღრნელების საწინააღმდეგო	1	-ჯერ	10,0	10
7	მღრნელების საწინა. პრეპარ. შეტანა	1	-ჯერ	10,0	10
8	ამონიუმის გვარჯილა	200	კგ	0,9	180
9	ამონიუმის გვარჯილის შეტანა	1	-ჯერ	15,0	15
10	ჰერბიციდის შეძენა	1	ლტ	50,0	50
11	ჰერბიციდის შეტანა	1	-ჯერ	25,0	25
12	მოსავლის აღება	1	-ჯერ	90,0	90
13	ტრანსპორტირება	1	-ჯერ	80,0	80
14	შრომის დანახარჯები	1	კაც.დღე	50,0	50
15	წყლის გადასახადი	1	-ჯერ		0
16	მიწის გადასახადი	1	-ჯერ	87,0	87
17	გაუთვალისწინებელი ხარჯები	5%			59
სულ ხარჯების ჯამი					1 231
მოგება, ლარი/ჰა-წელი					919

მოგების ანგარიში საშემოდგომო ხორბლის ნულოვანი მეთოდით
მოვლა-მოყვანისას (ერთეული: 1 ჰა)

დანახარჯები:					
№	ტექნოლოგიური პროცესის დასახელება	რაოდენობა /ჯერადობა	ერთეული	ფასი ლ/ერთ.	ხარჯები სულ ლარი/ჰა
	1	2	3	4	5
1	მინერალური სასუქის შეძენა (NP)	200	კგ	1,1	220
2	სასუქის შეტანა	1	-ჯერ	15,0	15
3	თესლის შეძენა	250	კგ	1,00	250
4	სათესით დათესვა	1	-ჯერ	35,0	35
5	მღრნელების საწინააღმდეგო	1	-ჯერ	10,0	10
6	მღრნელების საწინა. პრეპარ. შეტანა	1	-ჯერ	10,0	10
7	ამონიუმის გვარჯილა	200	კგ	0,9	180
8	ამონიუმის გვარჯილის შეტანა	1	-ჯერ	15,0	15
9	ჰერბიციდის შეძენა	1	ლტ	50,0	50
10	ჰერბიციდის შეტანა	1	-ჯერ	25,0	25
11	მოსავლის აღება	1	-ჯერ	90,0	90
12	ტრანსპორტირება	1	-ჯერ	80,0	80
13	შრომის დანახარჯები	1	კაც.დღე	50,0	50
14	წყლის გადასახადი	1	-ჯერ		0
15	მიწის გადასახადი	1	-ჯერ	87,0	87
16	გაუთვალისწინებელი ხარჯები	5%			56
სულ ხარჯების ჯამი					1 173
მოგება, ლარი/ჰა-წელი					977

– მსოფლიო აგრარულ სექტორში “No-till” ტექნოლოგია ამჟამად გამოიყენება 100 მილიონ ჰექტარზე მეტ ფართობზე ძირითადად განვითარებული სოფლის მეურნეობის ქვეყნებში (აშშ, კანადა, ბრაზილია, არგენტინა, საფრანგეთი, გერმანია, ახალი ზელანდია, ავსტრალია და სხვა).

– “No-till” ტექნოლოგიაზე გადასვლა ხდება ნიადაგის მინიმალური დამუშავების ტექნოლოგიის საფუძველზე “Mini - No-till”. როგორც ნულოვანი, ისე მინიმალური დამუშავების დროს ძირითად კომპონენტს წარმოადგენს მუღრის ფენა. მუღრის მისაღებად სპეციალურად ითესება საფარი კულტურა (უმთავრესად სწრაფად მზარდი კულტურები), რომელიც ძირითადი კულტურის თესვის წინ 2-3 კვირით ადრე მოიტყეპება და დამუშავდება ჰერბიციდებით, რათა ჩახშეს. მცენარეული ნარჩენები ქმნიან მუღრის ფენას, რომელიც ინახავს ტენს, იცავს ნიადაგს გამოშრობისაგან, ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიისაგან. ამასთან, დროთა განმავლობაში მუღრი მიკროორგანიზმების მოქმედებით განიცდის დაშლას, რის შედეგადაც ამაღლებს ნიადაგის ნაყოფიერებას. შემდგომ ეტაპებზე მუღრის ფენად შეიძლება გამოყენებული იქნას აგრეთვე აღნიშნული ტექნოლოგიით მოსავლის აღებისას მინდორში მიმოხეული ნამჯა.

– “No till” ტექნოლოგიაში ძირითად ტექნიკურ საშუალებას წარმოადგენს სათესი კომპლექსი, რომელიც გათვალისწინებულია მარცვლეული, პარკოსანი, საფურაჟე და ტექნიკური კულტურების დასათესად მინიმალური ან ნულოვანი ტექნოლოგიის პრინციპით პირდაპირ თესვის წესით ნაკვეთის მოუხნავად. ეს კომპლექსები მოუხნავ ტერიტორიაზე უზრუნველყოფენ:

- სათესი კვლის მომზადებას;
- ზუსტ თანაბარ თესვას;
- კვალის დახურვას და მიტყეპნას;
- მინერალური სასუქის და ზოგიერთ შემთხვევაში ქიმიური საშუალებების შეტანას. ამგვარად, ერთი გავლით ეს კომპლექსი გამოირიცხავს სხვადასხვა აგრეგატებით ჩასატარებელ 5-6 გავლას, რითაც მნიშვნელოვნად ამცირებს ნიადაგის დატყეპნას, ნიადაგიდან წყლის აორთქლებას, ეროზიული პროცესების განვითარებას, მნიშვნელოვნად ზრდის მოსავლიანობას, გამოირიცხული მექანიზებული ოპერაციების ხარჯზე

ახდენს საწვავის და შრომის ხარჯის, აქედან გამომდინარე ფულადი სახსრების მნიშვნელოვან ეკონომიას. ამის გარდა, ასეთი სათესები საშუალებას იძლევა საკმაოდ შემჭიდროებულ ვადებში ჩატარდეს თესვა, ვიდრე ჩვეულებრივი სათესი კომპლექსების გამოყენების შემთხვევაში, რაც განსაკუთრებით აქტუალურია ჩვენი ქვეყნის მთიანი რეგიონებისათვის, სადაც სავეგეტაციო პერიოდები საგრძნობლად მოკლეა.

ზემოთ მოცემულ ცხრილებში ასახულია ტრადიციული, მინიმალური და ნულოვანი დამუშავების ტექნოლოგიით ხორბლის მოვლა-მოყვანის შედეგები, დანახარჯები და მოგების გაანგარიშება.

შოთა ცაქოშვილი



რეალური შანსი

აგრონომების პარალიზება და სოფლიდან გლეხობის აყრა უნდა შეჩერდეს!

(კოოპერასია წარმოების, გადამამუშავებისა და რეალიზაციის ერთიანი სივლია!)

საქართველოს მთავრობის მიერ დაწყებული სოფლის მეურნეობის დახმარების ღონისძიებათა წარმატებით განხორციელება დიდად არის დამოკიდებული იმ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის დადგენაზე, რომელიც ამ დახმარების უზრუნველყოფის ყველაზე მაღალ ხარისხს უზრუნველყოფს. ასეთი მიდგომა მნიშვნელოვნად აზრათოვას დახმარების პოტენციურ მიმღებთა წრეს. უზრუნველყოფს ერთი მხრივ – ფინანსური და ორგანიზაციული რესურსების მიზნობრივ მიმართვას და მეორე მხრივ – აუცილებელი კანონმდებლობით წარმართული აქტივების მიღებას.

სამწუხაროდ, ისე როგორც ყოველთვის, ახლაც არსებობს საშიშროება, რომ არასწორი კონცეპტუალური მიდგომების შემთხვევაში განუვლი ფინანსური დახმარების შედეგები ნაკლებქმედუნარიანი, ან სულაც უკუშედეგის მომტანი იქნება, როგორც ხდებოდა ამ ბოლო ათწლეულში.

სწორედ ასეთ შეცდომასთან გვაქვს საქმე ე.წ. იაფი კრედიტის პროგრამასთან მიმართებაში, სადაც დაფინანსებული პროექტების აბსოლუტური უმრავლესობა მხოლოდ პირად მოგებაზე ორიენტირებულ ორგანიზაციულ ფორმებზე, ძირითადად, შპს-ებზე მოდის და მათ შორის არც

ერთი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი არ არის.

კოოპერატივების მუშაობის სტილი მოქნილი და დღევანდელი მოთხოვნილებების ადეკვატურია. სახელმწიფოსათვის სოფლად რთული ეკონომიკური და ორგანიზაციული პრობლემების მოგვარებისას იგი ძლიერ და სანდო პარტნიორს წარმოადგენს. ამ მიზნის რეალიზაცია შესაძლებელი იქნება მხოლოდ მიწის წვრილ მესაკუთრეთა ნებაყოფლობითი კოოპერაციული გაერთიანებების შექმნისა და მათი გადამამუშავებელ საწარმოებთან ინტეგრირების გზით. ასეთი სისტემის ფორმირებით გლეხებს აგრონედლეულის წარმოების, გადამუ-



შვებისა და რეალიზაციის ერთიანი საწარმოო ციკლის შექმნის შესაძლებლობა მიეცემა, სადაც პროდუქციის ღირებულება ყოველ სამეურნეო საფეხურზე იზრდება და აგრონედლეულის მწარმოებლები საბოლოო პროდუქციის რეალიზაციიდან მნიშვნელოვნად გაზრდილი მოგებით იქნებიან დაინტერესებულნი.

წარმოების ორგანიზაციული ფორმა იმდენად სრული უნდა იყოს, რომ



ადგილს არ უტოვებდეს წარმოების პროცესში სხვის (არაადგილობრივის) დიქტატს.

ასეთი მოდელით უნდა ჩამოყალიბდეს სოფელ დარჩელის თხილის პროდუქციის მწარმოებელი კოოპერატივი (თხილის წარმოება, დასაწყობება, შრობა, დამტკრევა-ნაჭუჭისაგან გათავისუფლება, დაკალიბრება, მოხალვა, დაფქვა სხვადასხვა ფრაქციებად, ვაკუუმური შეფუთვა-დაფასოება და რელიზაცია) და არა ისე, როგორც აქვთ გადაწყვეტილი – მხოლოდ თხილის წარმოება, დასაწყობება და შრობა. ეს არის შეკვეცილი, არასრული (გამესამედებული) საწარმოო ციკლი, როდესაც მოგების უდიდესი ნაწილი ამ პროდუქციის შემსყიდველებს რჩებათ, რომლებიც თავად დააკალიბრებენ, მოხალავენ, სხვადასხვა ფრაქციებად დაფქვან, ვაკუუმურად შეფუთავენ-დააფასობენ და გაყიდნიან მას, და არა კოოპერატივის წევრებს.

გლეხები, პრაქტიკულად, დაუცველი პოზიციების გამო იძულებული იქნებიან დათანხმდნენ თხილის შესყიდვის შეთავაზებულ (დისკრიმინაციულ) ფასს, რაც ავტომატურად გამოიწვევს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მოტივაციის და ადგილზე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივის მოშლას და რაც მთავარია, სოფლად ცხოვრების გაუფასურებას. ჯამში გლეხს შემოსავალი ან იგივე დარჩება, ან უმნიშვნელოდ გაეზრდება. კოოპერატივის წევრებს ხვედრით წილად მხოლოდ თხილის მოვლა-გაშენება და მოყვა-

ნალა რჩებათ, რაც საბოლოოდ იმის საფრთხეს შექმნის, რომ გლეხი თხილის პლანტაციას გაყიდის და სოფლიდან აიყრება.

აგრარული სექტორის ფუნქციონირების ეკონომიკური ანალიზი ნათლად წარმოაჩენს ქართული სოფლისა და მისი მოსახლეობის ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას: გადამმუშავებული საწარმოები, რომლებიც ძირითადად წარმოდგენილი არიან მოგებაზე ორიენტირებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის – შპს-ს სახით, მოგების გაზრდის მიზნით ახდენენ გლეხობისგან სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვას რაც შეიძლება დაბალი ფასებით. ისინი პრაქტიკულად გადაიქცნენ გადაულახავ ბარიერად გლეხობასა და თავისუფალ ბაზარს შორის. ინტერესთა აღნიშნულმა კონფლიქტმა, რომელიც გამოწვეულია სასოფლო-სამეურნეო სისტემის არასწორი ორგანიზაციული მოწყობით, მნიშვნელოვანწილად საფუძველი ჩაუყარა ერთი მხრივ – სოფლებიდან მოსახლეობის გაძლიერებულ მიგრაციასა და მეორე მხრივ აგრარული წარმოების პარალიზებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვა, ხდება გლეხის ექსპლუატაცია: გლეხს, პრაქტიკულად, არ აქვს იმის საშუალება, რომ გაისად, ამ დროს ერთი ლარით უფრო მდიდარი იყოს, ვიდრე დღეს არის.

საქმე ეხება ათიათასობით წვრილ გლეხურ (ოჯახურ) მეურნეობას, რომლებსაც დამოუკიდებლად ფეხზე დასადგომად არც გამოცდილება გააჩნიათ და არც ფინანსური საშუა-

ლებები. სწორედ ასეთ ვითარებაშია სახელმწიფო ვალდებული ქმედითი დახმარება გაუწიოს გლეხთა კოოპერაციულ გაერთიანებებს და მათი ფინანსური მდგომარეობის გასაჯანსაღებლად იზრუნოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ დაცლილ სოფლებს, რაც, რა თქმა უნდა, ქვეყნის ინტერესებში არ შედის.

შპს-ებისა და მოგებაზე ორიენტირებული სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების განვითარებას, რა თქმა უნდა, თავისი მნიშვნელოვანი ადგილი გააჩნია საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მაგრამ როცა არსებობს აგრარული განვითარების სხვა, უფრო ძლიერი სოციალური და ეკონომიკური მოტივები, მათი იგნორირება სერიოზულ მეთოდოლოგიურ შეცდომად უნდა ჩაითვალოს.

ქართულ სოფელში, დღეისათვის არსებული სოციალური, ეკონომიკური, დემოგრაფიული, სამეურნეო და სხვა მძიმე პრობლემების ფონზე, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საშუალებით შესაძლებელია ორი ძირითადი საწყისის გაერთიანება, კერძოდ, საკუთრების (რომელიც აძლევს მის მფლობელს არჩევანის თავისუფლებას) და მასშტაბური წარმოების განვითარების (რაც ერთი მხრივ – ტექნიკურ და ეკონომიკურ უპირატესობას განაპირობებს და მეორეს მხრივ – სასაქონლო და საფინანსო ბაზრებზე ავტორიტეტსა და წონას). საყურადღებოა ისიც, რომ აგროსამრეწველო ინტეგრაციისა და კოოპერაციის მრავალი წარმატებული მაგალითი გვიჩვენებს, რომ კოოპერაციული შრომის უკუგების ხარისხი ინდივიდუალურ შრომასთან შედარებით გაცილებით მაღალია.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განხორციელება გამიზნულია უშუალოდ სოფლად მცხოვრები ადამიანების და, საბოლოო ანგარიშით, მთელი საზოგადოების სასიკეთოდ. აქედან გამომდინარე, არსებული რეალობის გათვალისწინებით, სახელმწიფომ პასუხისმგებლობა უნდა აიღოს და განვითარებული ქვეყნების მსგავსად კოოპერაციის პროცესის წარმმართველისა და ხელშემწყობის ძირითადი ფუნქცია იკისროს.

საქართველოს პარლამენტის მიერ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ“ კანონის მიღებას დასაბამი უნდა მიეცა საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგების

ახლებური, ორგანიზაციული მოწყობისთვის, რაც პირდაპირ უნდა ასახულიყო მოსახლეობის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე. **კანონის არასრულყოფილების გამო ეს ასე არ ხდება.**

არ შეიძლება ყურადღების გარეშე დავტოვოთ კანონის ის ხარვეზები, რომლებიც მომავალში კიდევ უფრო ნეგატიურად აისახება კოოპერაციის პროცესზე. კერძოდ, კანონით არ ხდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შემოსავლების განაწილებისა და საპაიო ფონდის ფორმირების ძირითადი წესების განსაზღვრა, მოგებისა და ზარალის საკითხის რეგულირება.

„სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ“ **კანონმა არ გაითვალისწინა არანაირი ეკონომიკურ-ფინანსური მექანიზმი სახელმწიფოს მხრიდან კოოპერატივების ფინანსური ხელშეწყობის მიზნით, რაც უნდა განახორციელოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სააგენტომ და რომელიც მიმართული უნდა იყოს მხოლოდ კოოპერატივებზე და არა-ნაირ სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებზე. ფინანსური ხელშეწყობის გარეშე საქართველოში კოოპერატივების განვითარების სერიოზული პროცესის დაწყება პრაქტიკულად შეუძლებელია.** ეს პროცესი განსაკუთრებით პოზიტიური შედეგების მომტანი იქნება მთიან რაიონებში და ომით დაზარალებულ საზღვრისპირა სოფლებში, სადაც ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს მკვეთრად უარყოფითი სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული პროცესები.

კანონით „სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ“ არ ხდება კოოპერაციის შიდა საწარმოო ურთიერთობათა მარეგულირებელი ძირითადი წესების განსაზღვრა. ეს არის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, რომლის საშუალებით შესაძლებელია კოოპერატივმა შეინარჩუნოს მისი ძირითადი არსი, რაც მას მოგებაზე ორიენტირებული სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებიდან (შპს, სააქციო საზოგადოება და სხვ.) განასხვავებს. კოოპერაციის არსებობის მიზანშეწონილობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორი საპაიო ფონდში შეტანილი ფულადი და სხვა სახის ქონებრივი სახსრები კი არ უნდა იყოს, რომელიც მეპაიეს დივიდენდების მიღების საშუალებას აძლევს, **არამედ**

მისი წევრების შრომითი რესურსების კაპიტალიზაცია, სადაც დომინანტია შრომა, ხოლო მატერიალური რესურსების ერთადერთი დანიშნულება არა საპაიო შენატანების პროპორციულად დივიდენდების მიღება, არამედ კოოპერაციის წევრთა შრომის უკუგების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფაა.

სწორედ ამ ორი კომპონენტის – შრომითის და მატერიალურის ორგანული შერწყმით (სადაც დომინანტია შრომა, ხოლო მატერიალური რესურსების ერთადერთი დანიშნულება – არა გაზრდილი დივიდენდების მიღება, არამედ კოოპერაციის წევრთა შრომის უკუგების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა) მიიღწევა მაღალ ეკონომიკურ ეფექტიანობაზე, სოციალურ სოლიდარობაზე და სამართლიანობაზე დაფუძნებული სისტემის ფორმირება.

ვეროსი უფრო ტიპის კოოპერატივების გამოცდილებიდან ყველაზე ნიშანდობლივია ის, რომ კოოპერაციის მოგება ნაწილდება არა საპაიო შენატანების, არამედ კოოპერაციის საერთო სამეურნეო ბრუნვაში მისი წევრების მონაწილეობის პროპორციულად. ამ მიმართულებით განვითარებული ყველა წარმატებული ქვეყანა ქმნის შესაბამის ნორმატიულ-საკანონმდებლო ბაზას, რითაც ახდენენ კოოპერატივების შიდასაწარმოო ურთიერთობების რეგულირებას საკანონმდებლო დონეზე იმ მთავარი მიზნით, რომ ამ ურთიერთობებში განმსაზღვრელი იყოს შრომითი რესურსის ფაქტორი და მასზე მატერიალურმა კაპიტალმა საპაიო

შენატანების სახით დომინანტური ზეგავლენა არ მოახდინოს.

რაც შეეხება საპაიო შენატანების შეუსაბამობას კოოპერაციის წევრების მონაწილეობასთან კოოპერაციის საერთო სამეურნეო ბრუნვაში, ეს, რა თქმა უნდა უნდა აისახოს კოოპერაციის მოგების განაწილებაში. სწორედ ამისთვის არის განსაზღვრული ისეთი კატეგორიები, როგორიცაა აუცილებელი და დამატებითი საპაიო შენატანები და მათი რეგულირების წესები.

ასეთი ადმინისტრაციული რეგულაციების გარეშე კოოპერატივები ვერ უზრუნველყოფენ ყველაზე მთავარს – იყვნენ ორიენტირებული შრომითი რესურსის კაპიტალიზაციაზე, მის მაქსიმალურ უკუგებაზე და არა ფულადი და მატერიალური რესურსების დაბანდობით დივიდენდების მიღებაზე (შპს-ებისა და სხვა მომგებიანი საწარმოების მსგავსად).

ამ მიმართულებით ყველა წარმატებული ქვეყანა ქმნის შესაბამის ნორმატიულ-საკანონმდებლო ბაზას, სადაც ისეთი ელემენტების შეტანით, როგორიცაა: საპაიო შენატანი, დამატებითი პაი, კოოპერაციული გადახდები, კოოპერაციის ასოცირებული წევრობა და სხვა, ახდენენ კოოპერატივების შიდა საწარმოო ურთიერთობების რეგულირებას უშუალოდ საკანონმდებლო დონეზე, იმ მთავარი მიზნით, რომ ამ ურთიერთობებში შრომითი რესურსის ფაქტორი იყოს განმსაზღვრელი და მასზე მატერიალურმა კაპიტალმა, საპაიო შენატანების სახით, არ მოახდინოს დომინანტური ზეგავლენა.



ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს განსხვავებული პრაქტიკაც: საკანონმდებლო დონეზე ხდება კანონის მიღება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ გამარტივებული წესით, რომელიც არ ახდენს კოოპერატივების შიდასაწარმოო ურთიერთობების რეგულირებას, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს საკითხი რეგულირდება ქვეყნის მთავრობის, ან შესაბამისი სახელმწიფო უწყების ნორმატიული აქტით, რაც უმეტეს შემთხვევაში ხდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ტიპური წესდების მიღება-დამტკიცებით.

სამწუხაროდ, საქართველოს საკანონმდებლო ორგანომ თავის დროზე ეს საკითხები არ მიიჩნია სათანადოდ მნიშვნელოვნად, რომ სხვა

მთავრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ უკვე გატარებული და გასატარებელი მასშტაბური ღონისძიებების ეფექტურობაზე და მოსალოდნელ სისტემურ-სინერგიულ ეფექტზე.

აქვე ვფიქრობ, მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია ილია ჭავჭავაძის ხედვა სოფლად კოოპერაციული მოძრაობის განვითარებისადმი. ერის განმანათლებელი ცდილობდა ევროპული გამოცდილების მაგალითზე ჩვენშიც დანერგილიყო კოოპერაციულ ამხანაგობათა ჩამოყალიბების ტენდენცია. ილია მიესალმა თელავის თავადაზნაურთა მიერ „კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირის“ შექმნას, მოიწონა მისი წესდების პროექტი და იმედი გამოთქვა, რომ „კავშირი“



განვითარებული ქვეყნების მსგავსად მოეხდინა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შიდასაწარმოო ურთიერთობების რეგულირება საკანონმდებლო დონეზე. ამიტომ რჩება ერთადერთი სწორი გამოსავალი: შევიდეს ცვლილებები კანონში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ და ზემოთ აღნიშნული ნორმები აისახოს მასში.

არასაკმარისი გაცნობიერება იმისა, რომ აგრარულ სექტორში კოოპერაციის განვითარება სახელმწიფო რეფორმებისა და გარდაქმნების ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებაა და თავის შეკავება ამ კუთხით ადეკვატური ქმედითი ღონისძიებების გატარებისა და წარმატებული ეკონომიკის ქვეყნების მდიდარი გამოცდილების გაზიარებისაგან, აუცილებლად შექმნის სერიოზულ პრობლემებს, რაც ნეგატიურად აისახება

ბევრ სასიკეთო საქმეს გააკეთებდა. **„ეს იმისთანა საქმეა (კოოპერაციული მოძრაობა-პ.კ.), რომელიც საუკუნოდ სახსოვრად გახდის იმის სახელს, ვინც ამ საქმეს მესვეურობას და მეთაურობას გაუწევს“.**

1882 წელს ვინმე მაისნერმა კავკასიის მთავარმართებელს წარუდგინა ორი პროექტი სოფლის მეურნეობის დარგში სააქციონერო საზოგადოების შექმნის შესახებ. ერთი პროექტი შეეხებოდა ამიერკავკასიაში ღვინის კეთებას, ღვინით ვაჭრობას და არყის ხდას, მეორე კი – ხილისა და ბოსტნეულ-ბალჩეულის წარმოების საქმეს. მთავარმართებელს პროექტი განსახილველად გადაუგზავნია კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებისათვის. **საზოგადოებამ გამოყო სპეციალური კომისია, რომლის შემადგენლობაში სხვებთან ერთად შედიოდა რაფიელ ერისთავი.**

ქართველ საზოგადოებაში განსაკუთრებული მსჯელობის საგნად იქცა პირველი პროექტი. ილიას აზრით, საქმე შეეხებოდა იმისთანა წარმოებას და სიმდიდრის იმისთანა წყაროს, რომელიც ქართველ მინათმოქმედთ ეპყრათ ხელთ. ეს წყარო იყო „ღვინის კეთება“, რასაც „თავისი მიზეზი“ ჰქონდა „და დიდად პატივსაღებიცა, იმიტომ, რომ ღვინის საქმის მიზეზნი საეკონომიო მიზეზნი არიან და, მაშასადამე, ისეთნივე გარდაუვალი, როგორც თვითონ ბუნების მოთხოვნილებანი“.

კომისიის წევრთა უმრავლესობამ მაისნერის პროექტის მიზანდასახულობა სასარგებლოდ ცნო, მიუხედავად რაფიელ ერისთავის გამოთქმული შიშისა, რომ ამ საზოგადოებას შეეძლო გაეკოტრებინა ადგილობრივი მწარმოებლები და მხოლოდ პირადი მოგებისთვის ეზრუნა. სამწუხაროდ, კომისიამ ვერ შეძლო სიღრმისეული ანალიზი გაეკეთებინა მაისნერის ჭეშმარიტი მიზნისა და გეგმისათვის, მან უმთავრეს დადებით მომენტად კავკასიისათვის ორნახევარი მილიონი მანეთის შემოტანა მიიჩნია.

„პროექტის“ არსის დასახასიათებლად მოვუსმინოთ თავად ილია ჭავჭავაძეს. ილიას აზრით, მოქმედება მარტივი გეგმით „ვიყიდი ღვინოს, რომ ისევ გავყიდო, ესე იგი, ღვინის ვაჭრობას გავმართავო“ არ იქნება მომგებიანი საქართველოს საზოგადოებისათვის. მისი დადებითი შედეგი მხოლოდ აქციონერთა გამდიდრების საშუალება იქნებოდა და ეს უფრო მეტად გააღარიბებდა ღვინის უშუალო მწარმოებელ გლეხობას.

ილიამ სწორად განჭვრიტა მაისნერის პროექტის ჩანაფიქრი და დაასაბუთა მისი მიუღებლობა ქართული სინამდვილისათვის. მაისნერი საქართველოში იაფად შეიძენდა ღვინოს და რუსეთში სარფიანად გაყიდდა, ვინაიდან რუსეთის ბაზარი დაპყრობილი ჰქონდა ძვირადღირებულ ფრანგულ ღვინოებს და საზოგადოების მაღალი ფენაც მას ეტანებოდა. მაისნერს საქართველოდან გატანილი ღვინისათვის უნდა ეძებნა საშუალო მომხმარებელი, შეეჩვია იგი ქართული ღვინისთვის და ღვინოც ფრანგულთან შედარებით იაფად გაეყიდა. მეორე მხრივ, მაისნერი აპირებდა ადგილობრივი მწარმოებლებისგან შესყიდული ღვინო ქართველი გლეხის ერთადერთი სისუსტის – ევროპული კო-

მერციული მენეჯმენტის არცოდნის – და ხელისუფლების შეფარულად მტრული დამოკიდებულების წყალობით მხოლოდ რუსეთის ბაზარზე გაეტანა, ეს კი საქართველოში ღვინის გაძვირებას გამოიწვევდა. საბოლოო ანგარიშით: ა) გლესს შემოსავალი ან იგივე რჩებოდა, ან უმნიშვნელოდ ეზრდებოდა, ბ) ახალი მუშტრის – მაისნერის – გაჩენა გლესს აცდუნებდა, რომ ვენახი გაეყიდა, გ) ღვინის გაძვირებით ხარჯი ემატებოდა ქართველ მომხმარებელს. ამით ზარალდებოდა საზოგადოება მთლიანად. ქართველ მევენახეს, პრაქტიკულად, ხვედრით წილად ვენახის მოვლა-გაშენება და ყურძნის მოყვანა რჩებოდა, მაისნერი კი ხელთ იგდებდა თითქმის უშრომელ მაღალხარისხოვან პროდუქტს მხოლოდ იმით, რომ ადმინისტრაცია მის მხარეზე იყო. ეს არის ერთ-ერთი მაგალითი საქართველოსთვის დივერსიული პროექტის წინააღმდეგ (დღეს ასეთი პროექტები ათობითაა) უიარაღო წარმატებული ბრძოლისა.

დასასრულ. საქართველოს უდავოდ შეუძლია, კოოპერაციულ საწყისებზე მოახდინოს სოფლად მოსახლეობის



სამეწარმეო აქტივობის მობილიზაცია და არა მარტო სოფლის მეურნეობის, არამედ მასთან ტექნიკურ-ტექნოლოგიურად დაკავშირებული დარგების სწრაფი რეაბილიტაცია და შემდგომი განვითარება. სოციალურ სოლიდარობაზე დაფუძნებული მეურნეობრიობის ახალი ფორმების დამკვიდრებას ავტომატურად მოსდევს სოფლის მოსახლეობის მასობრივი დასაქმება, მათი შემოსავლების მკვეთრი ზრდა, აგრარული შრომის ავტორიტეტის ამაღლება,

სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მიგრაციის შეჩერება, სოფლის, როგორც ტერიტორიული და სოციალური ერთეულის კომპლექსური და დაჩქარებული განვითარება. ესაა ცნების „ჯანსაღი საშუალო ფენა“ რეალური შინაარსი.

პაატა კულუაშვილი,
ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

კვების მრავალფეროვნება

გვინდა ღარბის განვითარება? – შევქმნათ ტექნოპარკი

საქართველოს აგროსამრავლო კომპლექსი მრავალპროფილიანი და ჩვენი ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი პოტენციალია. მის განვითარებაზე ბევრადან დამოკიდებული ქვეყანაში არსებული როგორც სოციალური, ასევე ეროვნულ-ეთნიკურ ურთიერთობათა პრობლემების მოგვარების საკითხიც.

გასულ წლებში აგრარულ სფეროში წარმოებული პროდუქციის პიკური მაჩვენებელი ასეთი იყო: ყურძნის ღვინო – 22 მლნ დეკალიტრი, ხილ-ბოსტნეულის კონსერვები – 1200 მლნ პირობითი ქილა, პირველადი გადამამუშავების ჩაი – 140 ათასი ტონა, ეთერზეთოვანი ნედლეული – 51 ათასი ტონა, საკვები თევზის პროდუქცია – 83 ათასი ტონა, ფერმენტირებული თამბაქო – 20 ათასი ტონა და ასე შემდეგ.

რა მოხდა ამის შემდეგ? თუ ვერ გავაუმჯობესებდით

წარმოებას, ყველაფერი ასე როგორ დავანგრეთ? დაუსაქმებელს იშვიათად ნახავდით! ახლა?

დასაქმებული ადამიანია იშვიათობა, როდემდე შეიძლება ასე გაგრძელდეს, ჩვენ ხომ ისეთი მაღლიანი მიწა გვაქვს, უკულმა ჩადებული თესლიც კი მოსავალს იძლევა? ჩვენი ქვეყნის ტყე-მინდორი, მთა-ბარი, მიწა-წყალი, ჰავა და ჰაერი უდავოდ იძლევა იმის საშუალებას, რომ ჩვენი მოსახლეობა





საკუთარი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მაღალ პოტენციალს აღწევდეს. ამიტომ, რომ მსოფლიოში გავრცელებული 60000 კულტურიდან საქართველოში 10000 მოჰყავთ.

– მაშ, რაშია საქმე, რატომ გვიჩივს ასე? მიგაჩნიათ თუ არა, რომ სწორადაა განსაზღვრული ქვეყნის პრიორიტეტული და მაპროფიტებელი დარგები? ზამთარს ხომ არ დადგა დრო უპირატესად კვების მრეწველობის აღორძინებისა?

– ამ კითხვით მივმართე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს ბატონ ნუგზარ ბალათურიას.

ბატონი ნუგზარი უპირველესად მიესალმება სპეციალური ჟურნალის „ახალი აგრარული საქართველო“ გამოცემას და ამავე დროს მადლობას გამოთქვამს სოფლის მეურნეობაში არსებული ბევრი პრობლემური საკითხის ობიექტურად და პროფესიულ დონეზე გაშუქებისათვის და დასძენს:

– კვების მრეწველობა მართლაც ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგი უნდა იყოს, მაგრამ არის? მიმაჩნია, რომ არა. არ მინდა წარსულზე ვისაუბრო, მაგრამ იყო დრო ეს დარგი უზრუნველყოფდა ქვეყნის სოფლის მეურნეობის ნედლეულის სრულ ათვისებას და, შესაბამისად, სოფლის მოსახლეობის დასაქმებას. მხოლოდ კვების მრეწველობაში დასაქმებული იყო 80 ათასზე მეტი ადამიანი, მათ შორის ჩაის მრეწველობაში 18.6, პურისა და საკონდიტრო მრეწველობაში – 14, საკონსერვო, ღვინის და თამბაქოს წარმოებაში შესაბამისად – 11.75

და 7.9, ხორცისა და ჩაის მრეწველობაში – 8.5 ათასი და მეტი ადამიანი.

სამწუხაროდ, დღეს გადამამუშავებელი დარგები შეიძლება ითქვას, უმოქმედოა – ზოგიერთი გამოწვევის გარდა. ქვეყანაში არ არსებობს ამ დარგების მეცნიერულად

დასაბუთებული კონცეფცია და ინოვაციური განვითარებისათვის აუცილებელი არანაირი პირობა, რაც თავის მხრივ გამოიწვევს საექსპორტო პოტენციალის ზრდის პერსპექტივას, ამიტომ ნულარ გვიკვირს, რომ იმპორტი ბევრად აღემატება ექსპორტს.

უნდა აღვნიშნო, რომ მთელი რიგი მიზეზების გამო აგრარული სექტორი არასოდეს აღიქმებოდა ინვესტიციებისათვის მიმზიდველ სფეროდ (ოფიციალური მონაცემებით, უცხოური ინვესტიციების საერთო მოცულობაში აგროსექტორის წილი არ აღემატება 0,5 პროცენტს). ტრადიციულად, არც საბანკო სექტორი წყალობდა ამ დარგს. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ აგრარული სექტორი დამოუკიდებლად, მძლავრი სახელმწიფო მხარდაჭერის გარეშე ძნელია გამოვიდეს შექმნილი მდგომარეობიდან.

– ბატონო ნუგზარ, როგორ შეაფასებთ ქვეყნის პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის გამონათქვამს: „სოფლის მეურნეობის დარგმა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და წინსვლაში ერთ-ერთი უმთავრესი როლი უნდა შეასრულოს. სწორედ ამიტომ ჩვენმა ხელისუფლებამ ეს დარგი ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად გამოაცხადა. ამ დარგში დაიწყო ისეთი სისტემური ცვლილებების განხორციელება, რომელიც გლეხებს, ფერმერებს, მეწარმეებს მისცემს სტიმულს, შეუქმნის მათ განვითარებისათვის საუკეთესო გარემოს და პირობებს.“

– ძალიან კარგი, მეც ეს მინდა და ამას ვითხოვ. ახალმა ხელისუფლებამ ორი წლის განმავლობაში ძალიან

ბევრი რამ გააკეთა, დამუშავდა ორჯერ მეტი მიწა, ვიდრე ადრე. ძალიან ბევრმა მიიღო შეღავათიანი აგროსესხი, დაფინანსდა და გადაიარაღდა დაახლოებით 680 სანარმო, მაგრამ გასაკეთებელი კიდევ ბევრია, განსაკუთრებით კვების მრეწველობის კუთხით. გამოვთქვამ რწმენას, რომ ახალგაზრდა, ენერგიული ხელმძღვანელობა ყველა დაპირებას შეუსრულებს ჩვენს ხალხს.

ახლა მინდა ასეთი რამ გითხრათ. მსოფლიოს როგორც განვითარებული (აშშ), ასევე ყოფილი სოციალისტური ქვეყნების, აგრეთვე რუსეთის სოფლის მეურნეობის განვითარების გამოცდილების გაცნობამ იმ დასკვნამდე მიმიყვანა, რომ სახსრების ეფექტური გამოყენება შეუძლებელი იქნება აგროტექნოპარკების შექმნის გარეშე.

– რას წარმოადგენს ტექნოპარკი და როგორ დაეხმარება ის აგროსექტორს?

– აგროტექნოპარკი არის სასოფლო-სამეურნეო წარმოების, მეცნიერებისა და განათლების ინტეგრაციის ფორმა, რომელიც შექმნილია სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის სფეროში არსებული ინოვაციების კომერციალიზაციის მიზნით.

– ბატონო ნუგზარ, იქნებ დაასახელოთ თქვენი შეფასებით დარგის ინოვაციური განვითარების პრიორიტეტები?

– დიდი სიამოვნებით:

● სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების, შენახვისა და გადამამუშავების ენერგია და რესურსდამზოგი ტექნოლოგიები;

● ინოვაციები, რომლებიც ხელს უწყობს ქვეყნის შიდა ბაზრის სამამულო წარმოების იაფი და ხარისხიანი სურსათით გაჯერებას.

● ინოვაციები, რომლებიც საშუალებას იძლევა უზრუნველყოს სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მექანიზმების საიმედოობისა და ეფექტურობის, აგრეთვე მათი მწარმოებლობის და ხანგამძლეობის გაზრდა.

ინოვაციური ეკონომიკის შექმნაში გადამწყვეტ როლს ასრულებს სახელმწიფოსა და კერძო მეწარმეებს შორის პარტნიორობა. დაფინანსება შეიძლება განახორციელოს სახელმწიფომ ან უშუალოდ,

ან ვენჩერული კომპანიების (ალიანსების) საშუალებით, ან კიდევ სანარმოების გაერთიანებით. ეს სწორედ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს:

● ინოვაციების სფეროში პრიორიტეტების არჩევა,

● იმ საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალის განსაზღვრა და მათი სტრატეგიული დაგეგმვა, რომლებიც შეიძლება გახდეს სახელმწიფო შეკვეთის საგანი.

● ინოვაციურ სფეროში თვითორგანიზაციის მექანიზმების შექმნა. ინოვაციურ პროექტებში მსხვილი კაპიტალის მოზიდვა.

● საინოვაციო პროექტების ექსპერტიზა და ანალიზი.

უნდა აღვნიშნო, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებულია მოსახლეობის თითქმის 53 პროცენტი, მაგრამ მათი წილი ეროვნული შემოსავლის მხოლოდ 8,9 პროცენტია.

და რა არის ამის მიზეზი?

ამ შეუსაბამობის ძირითადი მიზეზია სწორედ სოფლის მეურნეობის ნედლეულის გადამამუშავებელი მრეწველობის არარსებობა. შედარებისათვის მოვიყვან ისევ ძველ ციფრებს: გასულ წლებში საქართველოში მუშაობდა 57 საკონსერვო ქარხანა, დღეს კი მხოლოდ – 4. ჩაის მრეწველობა წარმოდგენილი იყო 200 ფაბრიკით, ამჟამად 3-4 მცირე საწარმოა, ეთეროვანზეთებს აწარმოებდა 28 მეურნეობა-ქარხანა, დღეს არც ერთი და აშ. ამიტომ ზემოთქმულიდან გამომდინარე, აუცილებლად მივიჩნევ შეიქმნას აგროტექნოპარკის ინოვაციური მოღვაწეობის სისტემა, – გადამამუშავებელი მრეწველობის რეაბილიტაცია, რაც შექმნის მოთხოვნილებას სოფლის მეურნეობის ნედლეულზე.

– თქვენ ფიქრობთ, რომ ნედლეულის გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარება შეუძლებელი იქნება ინოვაციური ტექნოლოგიების შექმნისა და დანერგვის გარეშე?

– რა თქმა უნდა, ამიტომ გამიზნულია ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნას სწორედ სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა –

აგროტექნოპარკი. – Georgian Foodstaf Institute (GFI)

– გვიამბეთ ამ ინსტიტუტის საქმიანობის შესახებ – რა პერსპექტივა და რა შესაძლებლობა გაქვთ ამ მიზანს რომ მიაღწიოთ?

– კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი 1961 წლიდან ემსახურებოდა და ემსახურება კვების მრეწველობის დარგების (ღვინის, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების, ხორცისა და რძის, პურისა და პურპროდუქტების, საკონსერვო მრეწველობის)მეცნიერული უზრუნველყოფი საქმეს. ყოფილ სსრ კავშირში ის ასრულებდა სათავო სამეცნიერო ორგანიზაციის ფუნქციას ნატურალური საკვები დანამატების (საღებავები, არომატიზატორები) შექმნისა და წარმოების სფეროში. ინსტიტუტის ბაზაზე შექმნილი ტექნოპარკის („GFI“) ასამოქმედებლად და საამისოდ ინვესტორების მოსაზიდად ინსტიტუტს დამუშავებული აქვს ქვემოთ ჩამოთვლილი ინოვაციური ტექნოლოგიები და მათი რეალიზაციისათვის საჭირო სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამები.

1. პურის ნატურალური გამაუმჯობესებლის მიღების ტექნოლოგია.

პურის მრეწველობაში ფართოდ გამოყენებული ხელოვნური გამაუმჯობესებელი – გლუტენი ინვეს უმძიმეს დაავადებას – ცელიაკიას, რის გამოც მსოფლიოში მკვეთრად გაიზარდა მოთხოვნილება ნატურალურ გამაუმჯობესებლებზე. ჩვენს ინსტიტუტში დამუშავებული ნატურალური გამაუმჯობესებელი წარმატებით გამოიცადა საქართველოსა და ჰოლანდიის

სანარმოებში. ამ დანამატის მისაღებად შეიძლება ათვისებულ იქნას 30 ათასი ტონა ყურძნის ნედლეული;

2. თხევადი შაქრის წარმოების ტექნოლოგია. დამუშავებულია შაქრის სორგოსაგან თხევადი შაქრის წარმოების რაციონალური ტექნოლოგია. შაქრის სორგო შეიძლება მოყვანილ იქნას დედოფლისწყაროს რაიონში არსებულ დამლაშებულ (60 ათას ჰა) მიწებზე. აქ შეიძლება 100-120 ათასი ტონა იაფი თხევადი შაქრის წარმოება კვების მრეწველობის სხვადასხვა დარგებისათვის. ხაზგასასმელია ის, რომ შაქრის სორგო ახდენს დამლაშებული ნიადაგების განმარილიანებას;

3. ნატურალური საკვები დანამატების (არომატიზატორები, საღებავები) წარმოების ტექნოლოგიები. ევროპასა და აშშ-ში დიდი მოთხოვნილებაა ნატურალურ საკვებ დანამატებზე.

ჩვენს ინსტიტუტში ადგილობრივი ნედლეულის რესურსების გამოყენებით დამუშავებულია ნატურალური საღებავებისა და არომატიზატორების (ეთეროვანი ზეთები) მიღების ინოვაციური ტექნოლოგიები;

4. ფუნქციური დანიშნულების კვების პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიები.მსოფლიოში იზრდება მოთხოვნილება ფუნქციური დანიშნულების კვების პროდუქტებზე, რომლებიც წარმოადგენს მედიკამენტური თერაპიის ალტერნატივას. ინსტიტუტში დამუშავებული ინოვაციური ტექნოლოგიებით შეიძლება წარმოებულ იქნეს 70-80 ათასი ტონა ანტიკანცეროგენული და რადიოპროტექტორული





დანიშნულების საექსპორტო პროდუქცია;

5. 2010 წელს კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა მეღვინეობის მსოფლიო კონგრესს გააცნო მის მიერ დამუშავებული კახური ტიპის ღვინოების ტექნოლოგიის მეცნიერული საფუძვლები. 2013 წელს იუნესკომ ქვეყრის ღვინის დაყენების კახურ მეთოდს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭა, რაც გზას გაუხსნის ამ ტიპის ღვინოებს მსოფლიო ბაზარზე დასამკვიდრებლად;

6. ჭაჭის არაყი, ანუ „ჭაჭა“ ქართული კულტურის ისეთივე ნიშანია, როგორც კახური ღვინო. ინსტიტუტის მიერ დაპატენტებული ინოვაციური

ტექნოლოგიების დანერგვის შემთხვევაში „ჭაჭას“ ყველა მონაცემი აქვს იმისათვის, რომ იქცეს ისეთივე სახელგანთქმულ სასმელად, როგორიცაა იტალიური „გრავა“.

ამასთან, შეიძლება ვანარმოთ 20-25 მლნ ბოთლი საექსპორტოდ.

7. ატმის გადამუშავების ინოვაციური

ტექნოლოგიები. ატმის დამზადებამ საქართველოში მიაღწია 50 ათას ტონას. ინსტიტუტის მიერ დამუშავებულია მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქტების – ატმის პიურეს, წვენებისა და ა.შ. მიღების რაციონალური ტექნოლოგიები, რომელთა რეალიზაცია მნიშვნელოვნად გაზრდის ქვეყნის საექსპორტო პოტენციალს.

აგროტექნოპარკის („GFI“) ფუნქციონირების მოსალოდნელი შედეგები:

1. სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის სფეროში ინოვაციური საქმიანობის სტიმულირება;

2. იმ მეცნიერ-მუშაკების, დოქტორანტების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის

ხელშემწყობი სასტარტო პირობების შექმნა, რომელთაც დაგეგმილი აქვთ საკუთარი კომპანიების გახსნა და მაღალი ტექნოლოგიების სფეროში სამენარმოო საქმიანობა;

3. უკვე არსებული მცირე და საშუალო საინოვაციო კომპანიებისათვის, ასევე ურთიერთხელსაყრელი პირობებით აგროტექნოპარკთან თანამშრომლობის მსურველი კომპანიებისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნა;

4. სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის სფეროში ახალი კომპანიების შექმნის შესაძლებლობა.

თუ იქნება სახელმწიფოს ნება და სათანადო ხელშეწყობა, ვიმედოვნებ, რომ საქართველო უმოკლეს ვადაში შეძლებს ქვეყანაში არსებული სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის სრულად ათვისებას და საექსპორტო პროდუქციის გამოშვების გაზრდას, რაც თავისთავად უზრუნველყოფს სოფლის მოსახლეობის დასაქმებას. ეს ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. სოფელი კვლავ გახდება ქვეყნის ბურჯი.

ესაუბრა
ნაზი იმანიშვილი

GMO

გენმოდიფიცირებული სურსათის ნიშანდობა

პირველი ივლისიდან გენმოდიფიცირებული სურსათის ეტიკეტზე ნიშანდობა „GM“-ს მითითება სავალდებულოა.

წესის დარღვევა საქართველოს კანონმდებლობით ჯარიმდება 5 000 ლარის ოდენობით.

პირველი ივლისიდან ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „სურსათისა/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტების ეტიკეტირების შესახებ“, რომლის მიზანი მომხმარებლის სურსათში გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების არსებობის შესახებ ინფორმირებაა. ახალი კანონის ამოქმედების შემდეგ მომხმარებელს არჩევანის თავისუფლება ექნება, ვინაიდან ის თვითონ დარწმუნდება, სურსათი გენმოდიფიცირებულია თუ არა.

აღნიშნული კანონი არეგულირებს ეტიკეტზე განსათავსებელ ინფორმაციას. კერძოდ, თუკი სურსათის შემადგენლობაში არსებული გენეტიკურად მოდიფიცირებული კომპონენტები საერთო მასის 0,9%-ზე მეტია, მაშინ ეტიკეტის მარცხენა ზედა კუთხეში უნდა იყოს მითითებული წარწერა „GM“. კანონის მიხედვით, ეს ნიშანდება მომხმარებლისთვის ადვილად აღსაქმელი და თვალსაჩინო უნდა იყოს. თუკი



სურსათის ეტიკეტირება შეუძლებელია, ინფორმაცია გენმოდიფიცირებულობის შესახებ თანმხლებ დოკუმენტაციაში უნდა იყოს მითითებული. ეტიკეტირების წესის დარღვევა საქართველოს კანონმდებლობით 5 000 ლარით ჯარიმდება. განმეორების შემთხვევაში ჯარიმა ორმაგდება და ბიზნესოპერატორს 10 000 ლარის გადახდა მოუწევს. სურსათი, რომლის ეტიკეტზეც არ იქნება მითითებული „GM“ და ლაბორატორიული კვლევით აღმოჩნდება გენმოდიფიცირებული, ექვემდებარება განადგურებას. თუკი ბიზნესოპერატორი არ გაანადგურებს ასეთ სურსათს, სურსათის ეროვნული სააგენტოს მოთხოვნით იგი დაჯარიმდება 10 000 ლარით.

ბოსტნეულის მავნებლები და მათთან ბრძოლის ხერხები

ალბათ არაერთხელ გსმენიათ ბოსტნეულ კულტურებზე გავრცელებული მავნებელი დაავადებებისა და მათთან ბრძოლის მეთოდების შესახებ. გუნებრივია ჩვენც, როგორც მომხმარებელი მუდმივად ვხდებით მათ მიერ მოყვანებული ზიანის მსხვერპლი.

სწორედ ამიტომ გამოდგებით ხდება სხვადასხვა მეთოდების გამოცდა იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ასობით სხვადასხვა მავნებელი. ჩვენი ჟურნალი საშუალებას გაძლევთ, გაეცნოთ სხვადასხვა მეთოდს, რომელსაც ვიმედოვნებთ, რომ აქტიურად გამოიყენებთ თქვენს სამომავლო საქმიანობაში და ეს ხელს შეგიწყობთ პირადი წარმატების მიღწევაში.

ამ სტატიაში გაეცნობით კიტრის, პამიდვრის, ნივრის და ხახვის მავნებელი დაავადებებსა და მათთან ბრძოლის მეთოდებს.

კიტრის მავნებლები და დაავადებები

გუბრები

ბუგრები სახლდებიან უპირატესად ახალგაზრდა ფოთლების ქვედა მხარეზე, ასევე ყლორტებზე და წუწნით აზიანებენ მათ. ფოთლები უფერულდება, იკრუნჩხება და შემდეგ ხმება, საბოლოო ჯამში მცენარე ილუპება. ბუგრების წინააღმდეგ ვიყენებთ: აქტელიკს 0,15%, კარბოფოსს 0,1%, კონფიდორს 0,04%, პირინექსს, აქტელიკს 0,04 %.

აგდაუზდა ტკიპა

ტკიპა და მისი მატლები წუწნიან ფოთლებს, ფოთლის და ნაყოფის ყუნწებს, აჩენენ მათზე წინწკლებს, ფოთლები უფერულდება და ცვივა. ტკიპა პატარა ზომისაა 0,25-0,45 მმ სიგრძის, მოყვითალო-მომწვანო ფერის, კვერცხებს დებს ფოთლის ქვედა მხარეს და აბამს აბლაბუდას ქსელით. საბრძოლველად გამოიყენება 0,15 % აქტელიკი, 0,1 % კარბოფოსი, 0,2% ნეორონი, 0,03-0,05% ნისორანი, 0,03-0,05% სანმაიტი, ობერონი 0,4%.

ნაცარი

დაავადება დასაწყისში ფოთლებზე ცალკეული გაფანტული ლაქების, ბაცი ნაცრისფერი, ნაზი ფიფქის სახით ვითარდება. შემდეგ კი ფოთოლი და ყუნწი მთლიანად მუქი ნაცრისფერი ფიფქით იფარება. ფოთლები ყვითლდება, ჭკნება და ნაყოფი ველარ ხარობს. მცენარე ნაადრევად ხმება. საბრძოლველად ნაცრის პირველი ნიშნების გამოჩენისთანავე ტარდება შესხურება ფუნგიციდებით: ბაილეტონი 0,01%, ტოპაზი 0,02%, კოლოიდური, ბამპერი 0,1 %, გოგირდი 0,5-1%.

კიტრის ჭრამი (პერმანენტოროზი)

ჭრამით ავადდება ფოთოლი, რომლის ზედა მხარეზე ყვითელი დაკუთხული ლაქები ჩნდება, ქვედა მხარე კი მონაცრისფრო-იისფერი ნაზი ფიფქებით იფარება, ფოთოლი ხმება და ადვილად იფშვნება. დაავადება ინტენსიურად ვითარდება ჭარბი ტენის პირობებში, ოპტიმალური ტემპერატურაა 15-20 გრადუსი ცელსიუსით. საბრძოლველად გამოიყენეთ შავიტი 0,2 %, რიდომილი მც ან რიდომილ გოლდი 0,25%, სპილენძის ქლორჟანგი 0,5%, ბორდოლის სითხე 1%, იტერალი 0.4%, კოსაიდი 0.4%, ანტრაკოლი 0.4%, ტატუ 0.5%. ბრძოლის ღონისძიებას ვინცებთ სისტემური ფუნგიციდებით (რიდომილ გოლდი) და შემდეგ ვაგრძელებთ კონტაქტურით (ანტრაკოლი, სპილენძის ქლორჟანგი, ბორდოლის სითხე).

ანტრაქოზი

ანტრაქოზი კიტრის ფოთლებს აავადებს ადრეულ სტადიაზე, ზედ აჩენს არამკვეთრად გამოსახულ



ლაქებს, რომელთა რიცხვი და ოდენობა დამოკიდებულია ავადმყოფობის განვითარების პირობებზე. თუ პირობები კარგია, ლაქები დიდდება, მრავლდება და ხშირად ფოთლის ფირფიტის გახმობასაც იწვევს. ერთეული ლაქები მკვეთრი არაა და ოდნავ მონითალო ფერი გადაკრავთ.

ლეროს დაავადებისას, იმის მიხედვით, თუ რა ადგილას მოხვდება ინფექცია, სხვადასხვა შედეგი შეიძლება ჰქონდეს: თუ დაზიანება ღეროს ფესვის ყელთანაა, მაშინ მთელი მცენარის გახმობას იწვევს, თუ ღეროს ნაწილია დაზიანებული, მაშინ მისი გახმობა ხდება და მისი უკანა ნაწილი ახალ ზნკალს გამოიტანს. საბრძოლველად გამოიყენეთ შავიტი 0,2 %, რიდომილი მც ან რიდომილ გოლდი 0,25%, სპილენძის ქლორჟანგი 0,5%, ბორდოს ნარევი 0,5%.

სამხრეთული ფესვის სიდავალე

სამხრეთული ფესვის სიდავალე გოგროვანთა საერთო ავადმყოფობაა. იწვევს ღეროსა და ნაყოფის დაავადებას. ნაყოფის დაავადება სწრაფად მიმდინარეობს. დაავადება იწყება ნიადაგის მხრიდან, სოკო იჭრება ნაყოფში და იწვევს ქსოვილის დაშლას. ნაყოფი კარგავს თავის ფორმას, დამპალი მხრიდან ჯდება ანუ ბრტყელდება, შემდეგ კი სკდება. საბრძოლველად გამოიყენეთ პრეპარატ პრევიკურის შესხურება ნიადაგზე დათესვიდან



აღმოცენებამდე 0,2% და მეორედ მცენარეების აღმოცენების შემდეგ 0,15-0,2 %.

ზოგადად სარეველებთან საბრძოლველად გამოიყენება ჰერბიციდები სარდონი, მისტრალი, ზენკორი. კულტურული მცენარის გადარგვიდან 2 კვირის შემდეგ (0,7 კგ/ჰა; ორლებნიანი სარეველების წინააღმდეგ) და ერთლებნიანი ერთწლოვანი და მრავალწლოვანი სარეველების წინააღმდეგ (თაგვიყანა, გლერტა, შალაფა, ჭანგა) აგილი 0,6-0,8 ლ/ჰა-ზე, ფიუზილად ფორტე ან ფიუზილად სუპერი 2-4 ლ/ჰა-ზე.

პამიდვრის მავნებლები და დაავადებები

მახრა

მახრა გავრცელებულია თითქმის ყველგან. იგი აზიანებს მცენარეთა ფესვებს, რაც მას ნიადაგში მოძრაობის დროს ხვდება, ანადგურებს თესლს. ზრდასრული მახრა სხეულის ზედა მხრიდან მუქი ყავისფერია, ქვედა მხრიდან მოყვითალო ყავისფერი, სიგრძით 35-57 მმ.

მახრა ზრდასრული ფორმით ზამთრობს ნიადაგში სხვადასხვა ასაკის მატლებს სახით 50-100 სმ-ის სიღრმეზე. გაზაფხულზე ამოდის ნიადაგის ზედა ფენაში და იწყებს მავნებლობას. ბრძოლის ღონისძიებები: საბრძოლველად იყენებენ მისატყუებელ მასალას, როგორიცაა ინსექტიციდ გარეული ხორბალი, დალერლილი სიმინდი, ქატო, კომბინირებული საკვები და ა.შ.

თუ მარცვალს გამოვიყენებთ უნდა მოიხარშოს შერბილებამდე, შეერიოს მშრალი წონის 5% თუთიის ფოსფიდი და 3% მცენარეული

ზეთი. მისატყუებელი მასალა უნდა ჩაითოხნოს ნიადაგში კვლების გასწვრივ 10 დლით ადრე კულტურის დათესვამდე ან დარგვამდე (ან მოაბნევენ ნაკვეთის ზედაპირზე). ხარჯვის ნორმა 1 ჰა 50-60 კგ-ია.

5 ლიტრ წყალში იხსნება 50 გრამი ბი-58 ან პირინექსი, დაემატება მცენარეული ზეთი და იმდენი კომბინირებული საკვები, რამდენსაც მიღებული ხსნარი შეირევს. მიღებულ მასას მოაბნევენ საჩითილის ან ნაკვეთის ზედაპირზე. აღნიშნული ღონისძიება სასურველია, ჩატარდეს 2-3 ჯერ.

კოლორადოს ხოჭო

კოლორადოს ხოჭო აზიანებს როგორც პამიდორს, ასევე კარტოფილს და ძალუყურძენისებრთა ოჯახის სხვა წარმომადგენლებს. საქართველოს ბარის პირობებში ვითარდება ხოჭოს სამი გენერაცია. მავნებლები ძალზე სწრაფად მრავლდებიან და ანადგურებენ მცენარის ფოთლებს.

ბრძოლის ღონისძიებები: იყენებენ პირეტროიდების ჯგუფის პრეპარატებს: დეცისი, შერპა, კარატე, ბულდოგი, კონფიდორი ან კონფიდორ მაქსი და სხვა 0,1-0,15 % კონცენტრაციით.

ხვატარები

დიდი ზიანი მოაქვს ხვატარს და მდელოს ხვატარს. გავრცელებულია როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში, აზიანებს ბოსტნეულ კულტურებს, ზამთრობს მცენარეულ ნარჩენებში. იძლევა 3 სრულ და ნაწილობრივ მეოთხე თაობას.

ბრძოლის ღონისძიებები: მოსავლის აღების შემდეგ ნარჩენების სრული განადგურება, ნიადაგის მზრალად ხვნა. ფოსფორორგანული პრეპარატები: ბი-58, აქტელიკი, პირინექსი, კარბოფოსი 0,15-0,2% კონცენტრაციით.

პამიდვრის ალტერნარიოზი

დაავადების დაწყებისას ფოთლების ქვედა მხარეს ჩნდება მუქი რუხი ფერის კონცენტრირებული ლაქები. პატარა, მუქი, წაგრძელებული ლაქები ჩნდება აგრეთვე ახალგაზრდა მცენარის ღეროს ქვედა ნაწილშიც. მუქი ლაქები შავი ნაფიფქით წარმოიქმნება ნაყოფზეც. სოკო ვრცელდება კონიდიუმებით როგორც ნიადაგიდან, ასევე მცენარეული ნარჩენებიდან. ბრძოლის მეთოდები – თესლბრუნვის დაცვა. დაავადების პირველივე ნიშნების გამოჩენისთანავე ქიმიური პრეპარატების შესხურება: ბორდოული ხსნარი 1%, სპილენძის ქლორჟანგი 0,5 %, რიდომილი მც ან რიდომილ გოლდი 0,25%, იტერალი 0.4%, კოსაიდი 0.4%, ანტრაკოლი 0.4%, ტატუ 0.5%, შავიტი 0,2% და სხვა.

პამიდვრის ფოთლების მურა ლაქიანობა (კლადოსპოროზი)

აღნიშნული სოკო იწვევს ფოთლების დაავადებას, იშვიათად ყლორტებზეც გადადის. სოკო პამიდვრის ქვედა ფოთლებზე ჯერ მოყვითალო ლაქებს აჩენს, რომლებიც შემდეგში ყავისფერი ხავერდოვანი ფიფქით იფარება. სილაქავე ძალზე სწრაფად გადადის მცენარის ახალ ორგანოებზე და ხშირად მცენარის ნაწილის გახმობას იწვევს. სოკოს განვითარება ხდება მაღალი ტენიანობის შემთხვევაში. ოპტიმალურ ტენიანობად ითვლება



95 %, 80% სინოტივის ქვევით სოკოს განვითარებას ანელებს, ხოლო 50-60% დროს სრულიად არ ვითარდება. დაავადებისთვის ოპტიმალურ ტემპერატურად ითვლება 22-25 გრადუსი ცელსიუსით, თუმცა მას შეუძლია გამოიწვიოს დაავადება 6-34 გრადუსის ფარგლებში.

ბრძოლის მეთოდები – თესლბრუნვის დაცვა. ტარდება შესხურება ფუნგიციდებით: ბაილეტონი 0,01%, ტოპაზი 0,02%, კოლოიდური გოგირდი 0,5-1%, ბამპერი 0,1 %, მერპანი 0,5-1 %.

მოგეხსენებათ, ხახვი და ნიორი ძალიან სასარგებლო ბოსტნეულია ადამიანის ჯანმრთელობისთვის, რადგან ისინი სავსეა სხვადასხვა ვიტამინით. ამერიკელი მედიკოსების მონაცემების თანახმად, ყოველდღიურად ხახვის და ნიორის მიღება ამცირებს პნევმონიის განვითარების რისკს გადატანილი გრიპის შემდეგ.

ხახვი და ნიორი აძლიერებენ ბავშვის იმუნიტეტს, ამცირებენ ანთების ჩამოყალიბების შესაძლებლობას. ამის გარდა ფიტოცინტები ასტიმულირებენ სისხლის წითელი უჯრედების გამოშვებას, არეგულირებენ სისხლის განახლების პროცესს, ეს კი მათებს ორგანიზმს

მდგრადობას ინფექციური და ვირუსული დაავადებების წინააღმდეგ. სპეციალისტები გვიჩვენებენ ბავშვებს დღეში ერთი კბილი ნიორი და რამდენიმე ლერო მწვანე ხახვი ჩავურთოთ რაციონში.

ხახვისა და ნიორის გაწმენდილი დაავადებები

სარეველების წინააღმდეგ იყენებენ სხვადასხვა ჰერბიციდებს: პენდიგანი ან სტომპი 3-6 ლ/ჰა ნიადაგის შესხურება დათესვიდან 2-3 დღის შემდეგ კულტურის აღმოცენებამდე. კულტურული მცენარის აღმოცენების შემდეგ ორლებნიანი (ფართოფოთლოვანი) სარეველების წინააღმდეგ მიმართავენ პრეპარატ გალიგანის ან გუალის გამოყენებას 0,1-1 ლ/ჰა-ზე კულტურული მცენარის განვითარების ფაზების მიხედვით.

საწყის ფაზაში (ცალ ყურზე) ნაკვეთის დამუშავებას ვიწყებთ დაბალი დოზით 100 გ/ჰა, შემდეგში დოზა თანდათანობით იზრდება 150-200-300 გ/ჰა-ზე და ა.შ. ტოტრილი 1,5-3 ლ/ჰა-ზე (ხახვის 2-4 ფოთლის ფაზაში). ერთლებნიანი სარეველების (შალაფა, ჭანგა, თაგვიყანა და ა.შ.) წინააღმდეგ იყენებენ პრეპარატებიდან ერთ-ერთს – აგილი 0,8-1 ლ/ჰა-ზე,

ფიუზილად სუპერს ან ფიუზილად ფორტეს 2-4 ლ/ჰა-ზე, ასევე შეიძლება პრეპარატ ზელეკის გამოყენებაც 2-3 ლ/ჰა-ზე.

ხახვის ბუზის წინააღმდეგ უნდა მივმართოთ ნათესებში შესხურებას



აპრილის ბოლოს, მაისის დასაწყისში 7-10 დღის ინტერვალით: ბი-58 0,2%, პირინექსი 0,2 %. ჭრაქის წინააღმდეგ უნდა გამოვიყენოთ: შავიტი 0,2 %, რიდომილი მც ან რიდომილ გოლდი 0,25%, სპილენძის ქლორჟანგი 0,5%, ბორდოს ნარევი 0,5%.

ფარმაცეუტული საყურადღებოდ

მეფუტკრე კოოპერატივებს სკებს უფასოდ გადასცემენ

მეფუტკრეები, რომლებიც კოოპერატივში გაერთიანდებიან, სახალხოფოსგან სულ მცირე 30 სკას უფასოდ მიიღებენ.

როგორც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელმა, გიორგი მიშელაძემ ბპნ-ს განუცხადა, გადასაცემი სკების რაოდენობა კოოპერატივის წევრთა რაოდენობის პროპორციულად განისაზღვრება. არსებული კანონმდებლობით, კოოპერატივის შესაქმნელად ბარში სულ მცირე 5 ფერმერი უნდა გაერთიანდეს, მათში კი - 3. თუმცა, ზედა ზღვარი ლიმიტირებული იქნება.

"ერთი სკის ღირებულება ასი ლარია, ასე რომ, კოოპერატივის შესაქმნელად ეს კარგი მოტივაციაა. გარდა ამისა, ჩვენი უწყება ფერმერებს ტექნიკურ დახმარებასაც უწევს და ფუტკრის მოვლის თანამედროვე ტექნოლოგიებს აცნობს. მეფუტკრეობით დღეს ბევრია დაკავებული, თუმცა, უმეტესობა



თვითნასწავლია და მათი წარმოებული თაფლიც ხშირად უვნებლობის სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს", - განაცხადა მიშელაძემ.

პროექტის ღირებულება, დაახლოებით 1 მილიონი ლარია.

გადასატვირთი მემანქანის მარცვლეულის წარმოების ჩინებულუბის გასაზრდელად

მარცვლეულის წარმოება ტრადიციულად მთლიანი სასურსათო კომპლექსის საფუძველზეა საფუძველი. მოსავლიანობის ზრდა მემარცვლეულის დარგის სანარმოებს სტიმულს აძლევს მერიტიონ ახალი ტექნოლოგიური გადაწყვეტილებები მოსავლის ტრანსპორტირებისა და დასაბინავებლად. კომპანია როსტსელმაში აწარმოებს მაღალტექნოლოგიური მანქანების ხაზს მარცვლეულის კულტურების გადასატვირთად. ტექნიკა მისადაგებულია ფერმერული მიწებისა და მარცვლეულის სანჯოგებზე, რომლებიც სავალიზებულია პური, მარცვლეულის, პარკოვანი და ჯეთივანი კულტურების მოყვანასა და შენახვას.

მარცვლეულის შეკიანი ტრანსპორტი — უნივერსალური დახმარება

ვიდრე მინდვრიდან ხორბალი გადასამუშავებლად წარმოებაში მოხვდება, მის სპეციალურ საწოლებში გადატანას სხვადასხვა სატრანსპორტო მექანიზმები სხვადასხვა მეთოდებით უზრუნველყოფს. მარცვლეულის საწოლებსა და შესანახ მოედნებზე გადაზიდვასა და მარცვლეულის რეზერვუარებში ჩატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების განხორციელების საშუალებას შეუძლიან ტრანსპორტერები იძლევა. როსტსელმაში წარმოდგენილი აქვს 16-მანქანის მიწების ხაზი ჩატვირთვის სიმაღლით 2,6 მეტრიდან 12,8 მეტრამდე. ამ ხაზის შეკიან ტრანსპორტერებს საათში 50-დან 280 ტონამდე სხვადასხვა მარცვლეულის კულტურების გადატვირთვა შეუძლია.

თავიდან მარცვლეულს ყრიან ტრანსპორტერის მიმღებ ღარში, საიდანაც ჩასატვირთი მილის გავლით შეკის მეშვეობით მიენდება სასილოსე კოშკს, ელევატორს ან სატრანსპორტო საშუალებას.

სპეციალური დამცავი ფარი გამოიცხავს ტრანსპორტერის მილში მსხვილი, მყარი საგნების მოხვედრას და მოწყობილობას დაზიანებისგან იცავს.

მუშა მდგომარეობაში კონსტრუქციის სტაბილურობას უზრუნველყოფს მძლავრი საყრდენი, რომელიც მიწების

პირდაპირკუთხიანი მიერთების შედეგად იქმნება. მოწყობილობას მანევრირებას ბორბლები ანიჭებს, რომლებიც მჭიდროდაა მიერთებული ჩარჩოზე. მათი მეშვეობით შეკიანი ტრანსპორტერის საწოლში გადაადგილება შესაძლებელია ხელით ან ტრაქტორზე მისაბმელი ყურიანი სატრანსპორტო საშუალებით.

შეკიანი ტრანსპორტერის მოდელები ერთმანეთისგან მარტო წარმადობით კი არა, აღმძრავი აგრეგატებითაც განსხვავდება. ტრანსპორტერები შესაძლებელია ალიჭურვოს ბენზინის ან ელექტროძრავებით, ასევე ტრაქტორის ლილვის მეშვეობით.

სწრაფად, კლირად და უფრო მაღლა

საზღვაო პორტებში მარცვლეულის გადატვირთვას ექსპორტის განვითარებაში დიდი მნიშვნელობა აქვს. საზღვაო და სარკინიგზო გადასატვირთი პუნქტების შეუფერხებლად მუშაობის საშუალებას როსტსელმაში მალლივი შეკიანი გადატვირთავი იძლევა. იგი მარცვლეულს 3,4-დან 23,5 მეტრ სიმაღლეზე ტვირთავს, რაც საშუალებას იძლევა ეს ტექნიკა მობილურ რკალისებრ მარცვლეულის საცავებში, ბარჟებში, საზღვაო ხომალდებში, სარკინიგზო ვაგონებში მარცვლეულის ჩასატვირთად გამოვიყენოთ. მალლივი შეკიანი ტრანსპორტერი მუშაობს 60-დან 175 ც/დ ტრაქტორის ლილვის მეშვეობით.

მალლივი გადატვირთავის წარმადობა მოდელის მიხედვით საათში 140-დან 400 ტონამდეა. ამ დროს გადატვირთავი შეკის დახრა და სტაბილურობა რეგულირდება მძლავრი ჰიდრაულიური ცილინდრებით. როცა შეკი გადაყვანილია საჭირო მდგომარეობაში, სპეციალური კლაპანი აჩერებს ზეთის მიწოდებას და ჰიდროცილინდრები შეკს შესაბამის სიმაღლეზე იჭერს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მარცვლეულის რკინიგზის ვაგონებში ჩასატვირთად ან მალალი მოცულობის მარცვლის საცავებში.

ვიწრო სათავსოებში ჩატვირთვა

როსტსელმაში გადასატვირთი შეკები სწორედ იქ ევლინებიან მშველელად ფერმერებს, სადაც სტანდარტულ შეკიან გადატვირთავებს მუშაობა უჭირთ. ეს შეიძლება იყოს მცირე კონუსისძირიანი მარცვლეულის საცავები, საწოლები და ელევატორები. მოწყობილობა გამოირჩევა მომცრო გაბარიტებით, რაც მას საშუალებას აძლევს სატრანსპორტო საშუალებიდან მარცვლეული ძნელადმისადგომ ადგილზე შეზღუდული სიმაღლიდან გადმოტვირთოს და ჩატვირთოს. შეკის წარმადობა დამოკიდებულია მარცვლეული კულტურის ტიპზე, ტენიანობის დონეზე, ტემპერატურაზე და მან შეიძლება საათში 80 ტონასაც კი გადააჭარბოს. მოწყობილობა მუშაობს 3კვტ. სიმძლავრის ელექტროძრავაზე

გადატვირთვის ძირითად ელემენტებს გადასატვირთი ბუნკერი და მიწოდებელი შეკი წარმოადგენს. შეკის აწევის დონე და დახრის კუთხე ბორბლების რეგულირების მეშვეობით განისაზღვრება. ნედლეულის გადატვირთვა, გადატვირთვა 1,2 მეტრ სიმაღლეზე ხორციელდება. მოწყობილობა შეიძლება გამოყენებულ იქნას მარცვლეულის შეკიან გადამყრელ ტან-სთან კომბინაციაში. ასეთ შემთხვევებში მარცვლეული ჯერ ტრანსპორტერში გადაიტვირთება, შემდეგ ავტოტრანსპორტის ძარაზე, ვაგონში ან მარცვლეულის საცავ ბუნკერში. გადასატვირთი შეკის იყენებს როსტსელმაში მარცვლეულის საწმენდი O3M-20-ით. შეკიანი გადატვირთავის დახმარებით გაწმენდის მიერ გასუფთავებული მარცვლეული გადაიტვირთება სასურველი მიმართულებით, რომ იგი კვლავ არ დაჭუჭყიანდეს. გასუფთავებული მარცვლეული იყრება გორებად ან მიენდება სხვა გადატვირთავს.

როსტსელმაში წარმოების მარცვლის გადასამუშავებელი ტექნიკის ხარისხი გამოცდილია რუსეთის სხვადასხვა რეგიონებში, აზიის ქვეყნებსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში წარმატებული მუშაობის შედეგად.





როგორ მდგომარეობაშია რეგიონები აგროსაინჟინერო დარბი

2015 წლის 29 ივნისს საქართველოს სოფლის მეურნეობის
მინისტრატა აკადემიაში გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე:
„აგროსაინჟინერო სფეროში რაიონების საკონსულტაციო-საინფორმაციო
ცენტრების როლის გაზრდის შესახებ“.

აკადემიიდან მრგვალი მაგიდის
მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს
აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკად.
გ. ჯაფარიძემ, აგროსაინჟინერო
და ეკონომიკური სამეცნიერო
განყოფილებების აკადემიკოს-
მდივნებმა – აკად. რ. მახაროზიძემ
და ო. ქეშელაშვილმა, აკადემიური
დეპარტამენტის უფროსმა, საგრანტო
პროექტის FR/454/10-140/14
ხელმძღვანელმა – აკადემიის ნ. კ. ე.
შაფაქიძემ, აკადემიის პრეზიდენტის
მოადგილემ, დოქტ. ა. გიორგაძემ,
აკადემიკოსებმა ჯ. კაციტაძემ
და ა. დიდუბუღიძემ, აკადემიური
დეპარტამენტის თანამშრომლებმა
და აკადემიიდან წარდგენილი
ფუნდამენტური კვლევებისათვის
სახელმწიფო-სამეცნიერო გრანტების
2014 წლის კონკურსში გამარჯვებული
პროექტის: „ტექნოლოგიური
პროცესების ენერგოდანახარჯების
გაანგარიშების საფუძველზე
რაციონალური სასოფლო-სამეურნეო
წარმოებისათვის აუცილებელი
ტექნიკის ნომენკლატურისა
და რაოდენობის განსაზღვრის
მეთოდის დამუშავება რეგიონში
კულტურათა სახეობებისა და
დაკავებული ფართობების მიხედვით“
ძირითადად და დამხმარე პერსონალმა
გ. ჩიტაიამ, გ. მოსაშვილმა, რ.
ჯაფარიძემ, კ. ბოძაშვილმა და მ.
მოსაშვილმა.

მრგვალი მაგიდის მუშაობაში
მონაწილეობდნენ მოწვეული
სტუმრები: აჭარის სოფლის
მეურნეობის მინისტრის
პირველი მოადგილე ი. აბულაძე,
იმერეთის, მცხეთა-მთიანეთის,

შიდა ქართლის, გურიის და
სამეგრელო-ზემო სვანეთის
რეგიონების საკონსულტაციო-
საინფორმაციო სამსახურის
ხელმძღვანელები – რ. ძიძიშვილი,
ნ. კიკნაველიძე, მ. ლომსაძე, ო.
ჩხარტიშვილი და ა. მიქავა, დმანისის,
საგარეჯოს, ახალქალაქის, ონის,
ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის,
შუახევის და ხულოს რაიონების
საკონსულტაციო-საინფორმაციო
სამსახურის უფროსები – ნ.
ციხელაშვილი, ნ. ჯავახიშვილი,
რ. გოგალაძე, ტ. ლოზიანიძე, მ.
ნიჟარაძე, ა. ვაშაყმაძე, ს. შერვაშიძე,
ა. კაკალაძე და რ. შანთაძე; ყურნალ
„ახალი აგრარული საქართველოს“
რედაქტორი შ. მაჭარაშვილი.

მრგვალი მაგიდის მონაწილეებს
აკადემიის აკადემიური საბჭოს
სახელით მიესალმა აკად.
გ. ჯაფარიძე; რეგიონებში
აგროსაინჟინერო სამსახურის როლსა
და პერსპექტივებზე ისაუბრა აკად.
რ. მახაროზიძემ. რაიონებში
წარმოებული სასოფლო-სამეურნეო
კულტურების და ფართობების
მიხედვით ტექნიკის ნომენკლატურის
და რაოდენობის განსაზღვრის
მნიშვნელობასა და მეთოდიკაზე
ისაუბრა აკადემიის ნ. კ. ე. და საგრანტო
პროექტის ხელმძღვანელმა ე.
შაფაქიძემ. ფერმერების და სოფლის
მეურნეობაში დასაქმებული
სპეციალისტების კვალიფიკაციის
ამაღლების შესახებ დამსწრე
საზოგადოებას ისაუბრა აკად. ო.
ქეშელაშვილი.

განხილულ საკითხთან
დაკავშირებით თავიანთი

მოსაზრებები გამოთქვეს აჭარის
სოფლის მეურნეობის მინისტრის
პირველი მოადგილე ი. აბულაძემ,
რეგიონების და რაიონების
საკონსულტაციო-საინფორმაციო
სამსახურის ხელმძღვანელებმა
რ. ძიძიშვილმა, ნ. კიკნაველიძემ,
მ. ლომსაძემ, ო. ჩხარტიშვილმა,
ა. მიქავამ, ნ. ციხელაშვილმა, ნ.
ჯავახიშვილმა, რ. გოგალაძემ,
ტ. ლოზიანიძემ და მ. ნიჟარაძემ;
საგრანტო პროექტის ძირითადმა
შემსრულებელმა გ. მოსაშვილმა.

რეგიონების და რაიონების
წარმომადგენლებმა აღნიშნეს
ის საკითხები, რომლებიც
პრობლემატურია რაიონებში, მათ
შორის:

– ტექნიკური პერსონალის
(ოპერატორები, მექანიზატორები)
მომზადების დონე არის ძალზე
დაბალი და ამის გამო იქმნება
პრობლემები, რომელიც თან
ახლავს თანამედროვე სასოფლო-
სამეურნეო ტექნიკის მართვისა და
ექსპლუატაციის საკითხებს;

– დასამუშავებელია რეგიონების
მექანიზატორთა და საერთოდ
სოფლის მეურნეობის მუშაკთა
სწავლების საკითხები და ამ
მიმართულებით მისასაღმებელია
საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემიაში
ფერმერთა და სპეციალისტთა
კვალიფიკაციის ამაღლების
კურსების ჩამოყალიბება და
სასწრაფოდ უნდა მოხდეს მისი
პრაქტიკული განხორციელება.

– მოხდეს მუნიციპალიტეტებში
ტერიტორიული ორგანოების
მიხედვით საჭირო ტექნიკის
ნომენკლატურის დადგენა, რისთვისაც
მიზანშეწონილია საქართველოს
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის მიწოდოს რაიონების



საწყისი პარამეტრები და არსებული ტექნიკის და მათი ტექნიკური მდგომარეობის სრული სურათი, რათა აკადემიამ დაამუშაოს რეგიონების ტექნიკის ნომენკლატურის დადგენის მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდოლოგია;

– შეიქმნას რაიონებში მცირე სიმძლავრის მექანიზაციის სერვის-ცენტრები და მოხდეს მათი საჭირო მარაგ-ნაწილებით და საწვავით შეუფერხებელი მომარაგება;

– გადამდგას ქმედითი ნაბიჯები, რათა არ ჰქონდეს ადგილი ტექნიკის მოცდენას – სეზონის განმავლობაში ერთი ტრაქტორის საშუალო დატვირთვა არ უნდა იყოს 150 ჰა-ზე ნაკლები; ამ საკითხზე მონიტორინგის განხორციელება შესაძლებელია საკონსულტაციო-საინფორმაციო ცენტრების სპეციალისტების მიერ;

– საზღვარგარეთიდან საქართველოში ტექნიკის

შემოყვანამდე მოხდეს მისი სავსე გამოცდა რეგიონების ნიადაგობრივ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით. ამ მიზნით შესაძლებელია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის საინჟინრო პოტენციალის გამოყენება;

– საქართველოში განხორციელდეს მინი ტრაქტორებით (მათ შორის ვენახის მცირე სიმძლავრის ტრაქტორებით) და მოტობლოკებით ფერმერების ფართო მომარაგება მათთვის მისაღები ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით;

– მიზანშეწონილია აკადემიამ და შესაბამისმა სამეცნიერო-კვლევითმა ორგანიზაციებმა თავიანთ საქმიანობაში გაითვალისწინონ რეგიონებისათვის დამახასიათებელი კულტურების (ვენახი, თხილი, ციტრუსი, სპეციფიური მრავალწლიანი კულტურები და ა.შ.) მოვლა-მოყვანის სამანქანო ტექნოლოგიების

და ტექნიკური საშუალებების შექმნის შესაძლებლობები და მოამზადონ სათანადო პრაქტიკული რეკომენდაციები;

– სასურველია

კოოპერატივებისათვის გაგრძელდეს მოტობლოკების შედავითიან პირობებში შესყიდვის პროექტი, რაც ხელს შეუწყობს მცირეკონტურიანი ნაკვეთების დამუშავებას;

– მისასაღმებელია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ პრაქტიკული ხასიათის რეკომენდაციების მომზადება (სულ 34 რეკომენდაცია), რომელიც გამრავლებულია აკადემიისათვის მისაღები მცირე ტირაჟით და სასურველია სამინისტრომ უზრუნველყოს მათი დიდი ტირაჟით გამოცემა და რაიონებისათვის მიწოდება;

– გაძლიერდეს და გაფართოვდეს აგრარიკოს მეცნიერთა მიერ რეგიონებში გამსვლელი სემინარების და პრაქტიკული ხასიათის მეცადინეობების ჩატარების პრაქტიკა;

ელეონორა ზაზაძე,

საქართველოს სოფლის

მეურნეობის მეცნიერებათა

აკადემიის აკადემიური

დეპარტამენტის უფროსი, აკადემიის

წ/კორესპონდენტი, ტექნიკის

მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი.

წარმართვა

პროექტული პრესტიჟული სამეცნიერო ფორუმი

2015 წლის 21-25 ივნისს ბულგარეთის ქალაქ პარნაში ჩატარდა პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონგრესი თემაზე „მანქანები სოფლის მეურნეობაში“.

სამეცნიერო-ტექნიკური კონგრესის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა ევროკავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის 100-ზე მეტი მეცნიერი. წარმოდგენილი იყო ასევე სამეცნიერო მოხსენებები ირანიდან და სამხრეთ აფრიკიდან. წინასწარ შედგენილი იყო საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში დასავლეთის ცნობილ მეცნიერებათა ერთად საქართველოდან წამოდგენილი იყვნენ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რექტორი ლაშა გოცირიძე და სრული პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ჯემალ კაციტაძე, რომელმაც პლენარულ სდომაზე პირველმა წარადგინა მოხსენება „Theory of similarity and dimensions in the study of the process of restoration of details of agricultural machinery under submerged arc

welding“ (მსგავსობითობისა და განზომილებათა თეორია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დეტალების მდნობის ქვეშ დადუღებით აღდგენის პროცესის გამოკვლევის დროს). სამეცნიერო მოხსენებამ მონაწილეთა

საყოველთაო მოწონება დაიმსახურა და პირველი ადგილი მიენიჭა, ხოლო აკადემიკოს ჯემალ კაციტაძეს სპეციალური პირველი ხარისხის დიპლომი გადაეცა. სამეცნიერო ნაშრომი ასევე პირველ ნომრად დაიბეჭდა მაღალრეიტინგულ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში „Mechanization in Agriculture“, რომელიც ქალაქ სოფიაში გამოიცემა. ჯემალ კაციტაძე აღნიშნული პრესტიჟული ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობაშია შეყვანილი, რაც უდავოდ დიდი წარმატებაა.



სწორი აგრარული პოლიტიკა წარმატების გარანტიაა

„სოფლის მეურნეობა, შესაძლოა, გუნების უბედური გარია, მაგრამ იმავე დროს იგი მთავრობის საყვარელი შვილიშვილია.“

ჟულ სამუელსონი,
ნოვოზიბოვსკის პრემიის ლაურეატი

მართალია ერის ტრადიციული აგრარული კულტურა წინააღმდეგობას წინააღმდეგობას. ამ თავდაპირველად შექმნილი მეურნეობისა და მეურნეობრივ ფორმებში შედგომის საფუძველად დაბნეული ევრაზიის მთელ ტერიტორიაზე (სამხრეთ-აღმოსავლეთის გამოკლებით) მოგვიანებით წარმოშობილ აგრარულ სამეურნეო-კულტურულ კომპლექსების სხვადასხვა ტიპს, რომელიც ძირითადად მარცვლადი მეურნეობის, მებაღეობისა და მცენარეობის, მებაღეობის, სხვადასხვა სახეობის პირუტყვის მოშენებასა და მისგან მიღებული პროდუქტების მომარაგებაზე იყო ორიენტირებული.

საქართველოს აგრარული პოტენციალი და სხვა კომპონენტები, რომელიც აუცილებელია მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფისთვის, ქმნის კვებისათვის აუცილებელი თითქმის ყველა სახეობის პროდუქტის წარმოების შესაძლებლობას. საქართველოს რაციონალური აგრარული პოლიტიკის გატარების შემთხვევაში შეუძლია არათუ ქვეყანაში დღეს არსებული მოსახლეობა, არამედ 10-12 მილიონი ადამიანი გამოკვება.

მატერიალური წარმოების სხვა დარგებთან (მრეწველობა, ვაჭრობა, ტრანსპორტი და ა.შ.) ერთად სოფლის მეურნეობა ნებისმიერი ქვეყნის ეროვნული მეურნეობის ორგანული ნაწილია. განუხლებელია სოფლის მეურნეობის როლი ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფის, საგადამხდელო ბალანსის გაუმჯობესებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცების საქმეში. სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების დონესა და ტემპებზე არსებითად დამოკიდებული ტექნიკურ-ტექნოლოგიურად და სანარმოო-ეკონომიკურად მასთან მჭიდროდ დაკავშირებული ეროვნული მეურნეობის სხვა დარგების განვითარების ტემპები და პროპორციები. ამის დასტურია ის, რომ სოფლის მეურნეობაში შექმნილი პროდუქტისა და ნედლეულის საშუალოდ 50-60 პროცენტი ნორმალურ ვითარებაში კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის, აგრეთვე მსუბუქი მრეწველობის სანარმოებს მიენიჭება გადამამუშავებისა და მზა პროდუქტის წარმოებისათვის.

სოფლის მეურნეობაში მოხმარებული რესურსების 60-65 პროცენტი სამრეწველო წარმოებისაა. განგარიშებულია, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტის წარმოების ერთი პროცენტული მუხლით გაზრდა იწვევს ქვეყნის ეროვნული შემოსავლის 2-3 პროცენტით გაზრდას, დამატებით სამუშაო ადგილების შექმნას და ა.შ.

სოფლის მეურნეობის პროდუქტის წარმოების გადიდებასთან ერთად, როგორც წესი, უმჯობესდება მოსახლეობის კვების სტრუქტურა და ხარისხი, მცირდება იმპორტული სურსათის მოცულობა, რაც, დადებითად აისახება საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის შემცირებაზე და ქვეყნის სასურსათო დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლებაზე.

სოფლის მეურნეობის ძირითადი ამოცანა საკვებ პროდუქტებზე მოსახლეობის მოთხოვნილების მაქსიმალურად დაკმაყოფილება და ქვეყნის სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფაა. მისი რეალიზაცია სოფლის მეურნეობის ორივე ძირითადი დარგის – მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის განვითარების დონესა და ტემპებზეა დამოკიდებული.

ეროვნულ მეურნეობაში გამორჩეული ადგილის გათვალისწინებით, საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის პირველსავე წლებში შემუშავდა აგრარული პოლიტიკის კონცეფცია, რომლის მიხედვით აგროსასურსათო სექტორის ამოცანად ქვეყნის სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფა და

სასურსათო დამოუკიდებლობის განმტკიცება დაისახა, სასურსათო პოტენციალის სრულად ამოქმედებისა და ეფექტურად გამოყენების საფუძველზე.

სამწუხაროდ, აგრარული პოლიტიკის კონცეფციით განსაზღვრული ძირითადი ამოცანების შესრულება საქართველოში შესაბამისი პოლიტიკური ნების უქონლობისა თუ ეკონომიკური კურსისადმი მათი შეუსაბამობის გამო, ვერ მოხერხდა.

ქართული სოფელი წინა წლებში გატარებული არასწორი სოციალურ-ეკონომიკური (მ.შ. აგრარული) პოლიტიკის გამო უაღრესად დაკნინებულია. ასეთ პირობებში აგროსექტორის კრიზისიდან გამოსვლა და შემდგომი განვითარება შესაბამისი დაცვითი მექანიზმებისა და გარედან დახმარების გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია.

სოფლად მოსახლეობის რეალური დასაქმებისა და შედარებით მოკლე დროში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სათანადო დონის მიღწევა მხოლოდ სისტემური ცვლილებებითა და კომპლექსური ღონისძიებების განხორციელებითაა შესაძლებელი. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადამიანური რესურსების სამენარჩეო აქტივობის ამაღლებაა. უნდა გვესმოდე, რომ ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების უძირითადესი პროდუქტია ჯანმრთელი, მაღალკვალიფიციური, სოციალურად და გონებრივად განვითარებული ადამიანი. იგი ქვეყნისთვის არანაკლებ დიდი განძია, ვიდრე ეკოლოგიურად სუფთა გარემო





და მსოფლიოში რეალიზებადი პროდუქცია. ამიტომაც სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა არის, სხვა ყველა ამოცანასთან ერთად (მიწასთან მარადიული ურთიერთობა, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სოფლის ტერიტორიული განვითარება და სხვ.), სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მოფრთხილებისა და საზოგადოების გამოსაკვებად მათი შრომის სტიმულირების პოლიტიკა. ასეა ჯანსაღ ქვეყნებში – ნაკლებ განვითარებულიდან დაწყებული და ყველაზე განვითარებული დემოკრატიებით დამთავრებული. რადგან მათ იციან, რომ წააგებს ყველა, ვისაც არასწორი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა აქვს.

საქართველოს, პირველ ყოვლისა სოფლის მეურნეობის სფეროში განსახლებული აქვს ძირითადი მიზანი და ამოცანა, რომელიც, ჩვენი აზრით, შეიძლება ორი მიმართულებისა იყოს: პირველი, სოფლის, როგორც ტერიტორიული და სოციალური ერთეულის, შენარჩუნება-განვითარება (ამ ამოცანაში შედის კულტურული და ეკოლოგიური ლანდშაფტების დაცვა) და მეორე, სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფილი სოფლის მეურნეობის სტრუქტურის ჩამოყალიბება.

ეს ამოცანა, თავისთავად, რა თქმა უნდა, არ შესრულდება. ამ მიზნით საჭიროა პრინციპულად ახალი რაციონალური აგრარული პოლიტიკის შემუშავება (რომელიც სისტემას, სტრუქტურას, ხედვას, სტრატეგიას, ტაქტიკას, კადრების ნებას, კადრების სწავლებას მოიცავს) და სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის სრულყოფა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ყველა იმ

პრობლემის მოგვარება, რომელიც, საბოლოო ანგარიშით, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას, სოფლად სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებასა და აგრარული შრომის მოტივაციის ამაღლებას უკავშირდება. ცხადია, ამ არსებით სიახლეებს სჭირდება ნათელი და გამჭვირვალე შესაბამისი კანონების მიღება.

ნებისმიერი კარგად დაბალანსებული სტრატეგიის რეალიზაციას, კარგად მოფიქრებული ორგანიზაციულ-ეკონომიკური მართვის ბერკეტები ესაჭიროება. ამ მიზნით, კარგი ნაბიჯი იქნებოდა თუ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო შექმნიდა აგრარული პოლიტიკის ეროვნულ საბჭოს, რომელიც შეიმუშავებს აგრარული პოლიტიკის კონცეფციას, აგროსასურსათო სექტორის განვითარების სტრატეგიას და სოფლის განვითარების პოლიტიკას, განსაზღვრავს დარგობრივ პრიორიტეტებს, კვლევების, ინოვაციური და ეკონომიკურ-ტექნოლოგიური გარემოს ფორმირებისთვის ხელშემწყობ პოლიტიკას, განიხილავს ფასსარმოქმნის პარიტეტული დარეგულირების, სეზონური ფასების ფორმირების, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწასა და აგრარულ შრომაზე მოთხოვნის გადინების სათანადო სტიმულების მოძებნის, სოფლად შრომისა და წარმოების ორგანიზაციის ადეკვატური ფორმების ნახალისებისა და სხვა პრობლემურ საკითხებს, მიიღებს შესაბამის რეკომენდაციებსა და გადანაცვლებებს.

ერთიან სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკასთან ერთად, საჭიროა შემუშავდეს და ამოქმედდეს სოფლის განვითარების პოლიტიკაც. სოფლის ტერიტორიული

განვითარება უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე სოფლის მეურნეობის განვითარება. სოფელი პირველ ყოვლისა არის სახლობის ერთეული და არა მეურნეობისა. სოფლის განვითარების პოლიტიკის ერთერთი მთავარი მიზანია სოფლის მოსახლეობის ყოფითი სტატუსის მიახლოებით გათანაბრება ქალაქის მოსახლეობასთან (ანუ სოფელსა და ქალაქს შორის სოციალურ-კულტურული განსხვავებების შემცირება), რასაც სოფლად ადამიანური რესურსების შენარჩუნებისთვის და ამგვარად, სოფლის მეურნეობისა და აგროსასურსათო წარმოების განვითარებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

საქართველოს სასურსათო უშიშროების პრობლემის გადაწყვეტა დიდადაა დამოკიდებული მიწის რესურსების ეფექტიან მართვასთან და მის რაციონალურ გამოყენებასთან.¹ სახელმწიფო პოლიტიკა უდავოდ უნდა უზრუნველყოფდეს მიწის ეფექტური გამოყენებას, თუმცა ეს მიღწეული უნდა იყოს არა მესაკუთრეობაზე შეზღუდვებით, არამედ მიწათსარგებლობის მონიტორინგის საშუალებით, რისთვისაც შესაბამისი ინსტიტუციური ცვლილებები იქნება საჭირო, რომელიც უზრუნველყოფს როგორც მიწათსარგებლობის მონაცემთა განახლებადი ბაზის შექმნას, ასევე მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეფექტური სისტემის ფუნქციონირებას.

მიწათსარგებლობის განვითარების მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს მიწის კონსოლიდაცია, რომელიც ერთერთი პრიორიტეტული საკითხია როგორც ევროკავშირის ძველი და ახალი წევრებისთვის, ასევე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისთვის. საქართველოში მიწის კონსოლიდაციის არავითარი გამოცდილება არ არსებობს, რაც ამ მიმართულებით მოქმედების არანაირ შესაძლებლობას არ იძლევა. გამოცდილების შესაგროვებლად აუცილებელია საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით განხორციელდეს მიწის კონსოლიდაციის საპილოტე პროექტი, რომლის გამოცდილების ბაზაზე უნდა შექმნას შესაბამისი კანონმდებლობა და სახელმწიფო პროგრამა.²

1. სახელმწიფოს დღემდე არ შემუშავებია სოფლის ტერიტორიული განვითარების პოლიტიკა და შესაბამისად არ აქვს განსაზღვრული თუ რა რაოდენობის მიწაა საჭირო სოფლის განვითარებისა და სასურსათო უსაფრთხოების (უშიშროება) უზრუნველყოფისთვის. ასევე, სოფლად მცხოვრები კომლების დიდ უმრავლესობას არ აქვთ მათ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები რეგისტრირებული. ეს პრობლემები უმოკლეს დროშია გადასაწყვეტი.

2. გაეროს რეკომენდაციების შესაბამისად მიწის კონსოლიდაცია განიხილება, როგორც მრავალსექტორული მიდგომა სასოფლო ტერიტორიებზე მიწის მართვის გაუმჯობესებისათვის, სადაც ადგილობრივი თემების მონაწილეობა მიწის კონსოლიდაციის სტრატეგიის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევა. მიწის კონსოლიდაციის პილოტპროექტების დიზაინის სახელმძღვანელო შემუშავდა გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მიერ 2003 წ. აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებისთვის.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება ადასტურებს, რომ შრომითი რესურსების სამენარმოო გააქტიურება ყველაზე კარგად სოფლად კოოპერაციული მოძრაობის განვითარებითაა შესაძლებელი. ეს პროცესი ყველგან სახელმწიფოს აქტიური მართლმართებით, მართგანიზებული როლითა და ხელშეწყობით წარიმართა.

სოციალურ სოლიდარობაზე დაფუძნებული მეურნეობრიობის ახალი ფორმების დამკვიდრებას, ავტომატურად მოსდევს სოფლის მოსახლეობის მასობრივი დასაქმება, მათი შემოსავლების მკვეთრი ზრდა, აგრარული შრომის ავტორიტეტის ამაღლება და სოფლის კომპლექსური და დაჩქარებული განვითარება. ესაა ცნების „ჯანსაღი საშუალო ფენა“ რეალური მინიარსი.

საქართველოს მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის განვითარება შექმნილ ვითარებაში ობიექტურად საჭიროებს ისეთი ეროვნული სტრატეგიის შემუშავება-რეალიზებას, რომელშიც ასახული იქნება უახლოესი წლების (3-5 წ.) ამოცანები (დაქუცმაცებული სანარმოო ბაზის გამსხვილება – მიწის კონსოლიდაცია, სოფლად კოოპერაციული მოძრაობის სტიმულირება, კონკურენტუნარიანი, სასურსათო პროდუქტების მწარმოებელი დარგების მაღალი ტემპებით განვითარება) და მათი განხორციელების საშუალებები საქართველოს საშუალო და გრძელვადიანი (10-15წ.) მიზნების გათვალისწინებით (ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა და აგრარული კრიზისის დაძლევა, სასურსათის ექსპორტის გაფართოება და სურსათის იმპორტის ადგილობრივი წარმოებით ჩანაცვლება).

სწორი სტრატეგიის შემუშავება მხოლოდ ყოველმხრივ გააზრებული აგრარული პოლიტიკის საფუძველზეა შესაძლებელი, რომლის ფორმირებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება აგრარულ სექტორში სახელმწიფოს ჩარევის დონის განსაზღვრას,¹ რაც, თავის მხრივ, განპირობებულია სოფლის მეურნეობის, ასევე მოცემული ქვეყნის აგრონარმოების თავისებურებებით, აგრარულ მეურნეობაში არსებული მდგომარეობით, მოსახლეობის მენტალიტეტით. აქ საკამათო ის კი არ უნდა იყოს, თუ რამდენი ეთანხმება ან არ ეთანხმება სოფლის მეურნეობისადმი სახელმწიფო მხარდაჭერის იდეას, არამედ ის, თუ რამდენად ობიექტურადაა არგუმენტირებული ასეთი დახმარების საჭიროება.

აგრარული პოლიტიკის რეალიზაციის ჩამოთვლილი ამოცანების გადანაცვლა საჭიროებს:

1) სურსათით თვითუზრუნველყოფის აუცილებელი დონის მიღწევას;

2) სასურსათო ბაზრის სტაბილურობის შენარჩუნებას პროდუქციის მიწოდების რეგულირების გზით;

3) სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელთა შემოსავლების სტაბილურ ზრდას;

4) სამამულო საქონელმწარმოებელთა ინტერესების დაცვას საგარეო ბაზრის ნეგატიური ზემოქმედებისგან;

5) სოფლის განვითარებას და ამ ტერიტორიებზე (განსაკუთრებით მთასა და მთისწინეთში) ადამიანური კაპიტალის შენარჩუნებას;

6) სანარმოო-ეკონომიკური ურთიერთობებისა და ინფრასტრუქტურის ისეთი სისტემის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს სოფლად საქონელმწარმოებელს საჭირო შემოსავლებით და ცხოვრების მისაღები დონით;

7) სოფლის მეურნეობასა და მასთან დაკავშირებულ დარგებში სახელმწიფო პროგრამების მეშვეობით საინვესტი-

ალსანიშნავია, რომ ბიუჯეტის მოცულობის თვალსაზრისით, ევროგაერთიანების ქვეყნების სოფლის მეურნეობის განვითარების საერთო პოლიტიკა ყველაზე ძვირადღირებულია სხვა მიმართულებებთან შედარებით. ამის რეალური შედეგია ის, რომ გაერთიანების ფარგლებში 50-ზე მეტი წლის განმავლობაში განხორციელებულმა თანმიმდევრულმა აგრარულმა პოლიტიკამ სოფლის მეურნეობის პროდუქტების მთავარი იმპორტიორი მეორე უდიდეს ექსპორტიორად გადააქცია მსოფლიოში (ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ).

ევროგაერთიანების ქვეყნების სოფლის მეურნეობის განვითარების საერთო პოლიტიკის შემუშავების შესახებ გადამწყვეტილება მიღებულ იქნა ჯერ კიდევ რომის ხელშეკრულებით (1962 წ.), რომლის მიზნები შემდეგნაირად განისაზღვრა:

– ხელი შეეწყოს ტექნიკურ პროგრესს და ამგვარად, ამაღლდეს სოფ-



ციო პროცესების გააქტიურებას, ინოვაციური და მეცნიერულ-ტექნოლოგიური მიღწევების დაჩქარებულ დანერგვას;

8) წარმოების ორგანიზაციის, მართვისა და რეალური პროგნოზირების ოპტიმალური კურსის შემუშავებასა და რეალიზაციას;

9) საგარეო-ეკონომიკური კავშირების განმტკიცებასა და შემდგომ განვითარებას;

10) საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობის სახელმწიფო გაერანტირების შექმნას.

თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სწორი აგრარული პოლიტიკის შემუშავებასა და რეალიზაციას, ნათლად ცხადყოფს ევროკავშირის გამოცდილება.

ლის მეურნეობის პროდუქტიულობა და უზრუნველყოფილ იქნას პროდუქციის წარმოების რაციონალური განვითარება, რესურსებისა და განსაკუთრებით სამუშაო ძალის ოპტიმალური გამოყენება;

– სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა შესაბამისი ანაზღაურებით უზრუნველყოფა;

– ბაზრის სტაბილიზაცია;

– სოფლის მეურნეობის პროდუქტებით მომარაგების უზრუნველყოფა;

– სოფლის მეურნეობის პროდუქტების მისაღები ფასებით მომხმარებლის უზრუნველყოფა.

ევროგაერთიანების არსებობის ხუთი ათეული წლის მანძილზე, სოფლის მეურნეობის განვითარების საერთო პოლიტიკის რეალიზაციის შედეგად, მოხერხდა დასახული მიზნების უმრავლესობის მიღწევა. აღსანიშნავია, რომ ფერმერების შემოსავალი მნიშვე-

1. მთავრობის კომპეტენტურობა და აგროსასურსათო პროცესებში მისი ჩარევის ხარისხი (მარეგულირებელი, მართლმართრებელი, ხელშეწყობი როლი), მიმართულება და დონე გადამწყვეტი ფაქტორია ქვეყნის შიმშილისგან გადარჩენაში დღეს და სამომავლოდ.



ნელოვნად გაიზარდა და რიგ ქვეყნებში კიდევ გადაჭარბა არასასოფლო სექტორებიდან მიღებულ შემოსავლებს. გადაუჭრელი დარჩა მხოლოდ სოფლის მეურნეობისა და კვების პროდუქტების ფასების დარეგულირებისა და რესურსების ეფექტური გამოყენების საკითხი.

XX საუკუნის 80-იანი წლებიდან ევროგაერთიანების სოფლის მეურნეობის განვითარების საერთო პოლიტიკა ორიენტირებულია:

- შიგა და გარე ბაზრებზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ზრდაზე;
- სასოფლო-სამეურნეო სანარმოთა (ფერმერულ მეურნეობათა) სათანადო შემოსავლებით უზრუნველყოფაზე;
- ფერმერებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნაზე, დამატებით დასაქმებასა და შემოსავლების სხვა წყაროებით უზრუნველყოფაზე;
- ახალი სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიების განვითარების პოლიტიკის შემუშავებაზე;
- სოფლის მეურნეობის პოლიტიკის ფარგლებში უფრო მეტი სტრუქტურული და გარემოდაცვითი ღონისძიებების გატარებაზე;
- სურსათის ხარისხისა და უსაფრთხოების გაუმჯობესებაზე;
- სოფლის მეურნეობის კანონმდებლობის გამარტივებასა და მისი გამოყენების დეცენტრალიზაციაზე.

ბოლო პერიოდის ევროკავშირის სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა შემდეგ მიზნებს ისახავს:

- სურსათის სტაბილურ მოწოდებას მისაღებ ფასად;
- ფერმერებისთვის ღირსეული ცხოვრების სტანდარტის უზრუნველყოფას;
- სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტიულობის ზრდას, ტექნიკური პროგრესის გზით;
- აგროწარმოების რაციონალური სისტემის განვითარებას, რესურსების ეფექტიანად გამოყენების გზით;
- ეს ფუნდამენტური ამოცანები ესადაგება როგორც საქართველოს, ისე აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს, რომელთა შემთხვევაშიც მათ აგრარულ პოლიტიკას უნდა დაემატოს ორი სპეციფიკური მიზანი:

1. სასურსათო თვითუზრუნველყოფა;
 2. სიღატაკის დაძლევა სასოფლო ტერიტორიებზე.
- სურსათზე მოთხოვნილების პროგნოზის თანახმად, თუ უახლოეს სამ ათწლეულში მისი წარმოება არ გაორმაგდება, მსოფლიო მძიმე სასურსათო კრიზისში აღმოჩნდება. მაღალი აგროპოტენციალის მქონე ქვეყნებს, სურსათის წარმოებაზე თავისი წილი პასუხისმგებლობა ეკისრება. ამგვარი პასუხისმგებლობა აქვს საქართველოსაც.

ევროკავშირის დღევანდელი აგრარული პოლიტიკა წარმოადგენს ერთგვარ ეტალონს გაერთიანების არანე-

რი ქვეყნებისათვის და ამდენად, მისი გათვალისწინება მნიშვნელოვნად გამოადგება ჩვენს ქვეყანასაც, რომელსაც უკვე გაკეთებული აქვს არჩევანი ევროკავშირში გასაწევრიანებლად. საქართველოს უდავოდ აქვს სოფლის მეურნეობის განვითარების დიდი პოტენციალი, რომლის ამოქმედება უნდა გახდეს, მისი აგრარული პოლიტიკის უმთავრესი მიზანი.

საქართველო ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი ქვეყანაა. მიმდინარეობს აგრარული რეფორმა, რომლის მიზანი არ უნდა იქნას დაყვანილი მიწის გაყიდვაზე. სასურსათო უშიშროება, ქართული სოფელი, მიწის კონსოლიდაცია, აგროსამრეწველო კოოპერაცია, ეფექტიანი სოფლის მეურნეობა, იმპორტჩანაცვლებადი აგროწარმოება, სურსათის უვნებლობა და სხვა არის ამ რეფორმის უპირველესი სამიზნეები.

დასკვნის მაგიერ. სოფლის მეურნეობა და სასურსათო უშიშროება აყვანილ უნდა იქნას სახელმწიფოს პრიორიტეტული (სტარატეგიული) მიზნის რანგში, ხოლო მთავრობის აგრარული პოლიტიკა ორიენტირებული უნდა იყოს სოფლის მეურნეობისა და სასოფლო ტერიტორიების მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ურთიერთშენიშნადი ეკონომიკურ-ტექნოლოგიური გარემოს შექმნასა და სრულყოფას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებს, მტკიცე სანარმოო და სოციალურ ინფრასტრუქტურას, სამეურნეო რისკის მოთხოვნების შესაბამის ეკონომიკურ მექანიზმსა და ინსტიტუციურ სისტემას, რამაც უნდა შექმნას საფუძველი სასურსათო უშიშროებისა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად, სოფლად ცხოვრების პირობებისა და სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გასაუმჯობესებლად.

პაატა კოღუაშვილი,
ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

გივი ჯაფარიძე,
საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემიის
აკადემიკოსი

CORRECT AGRICULTURAL POLICY IS THE BASE FOR GUARANTEED SUCCESS

PAATA KOGHUASHVILI, Professor, Doctor of Economic Sciences
GIVI JAPARIDZ, Academician of Georgian Academy of Agricultural Sciences

What is important for a consistent agricultural policy, clear indication of the EU's experience, having managed in a short time to realize the objectives of the most of the agricultural sector. European Union became the main importer of agricultural products, the second largest exporter in the world.

According to the authors, the controversy should not be, how much state support to agriculture agrees or disagrees with the idea, but how objectively reasonable need for such assistance.

The EU's agricultural policy is a kind of etalon for non-member states of the Union, thus considering above will be very useful for our country as we have made the choice to join the European Union.

ბრუცელოზი ადამიანისათვის საშიში დაავადებაა

საქართველოში ძველმ ქართლი ერთ-ერთი მსხვილი და ეკონომიურად აქტიური რეგიონია სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების თვალსაზრისით. ამაღან ერთ-ერთი წამყვანი დარგი მეცხოველეობაა. სწორად ამიტომ მნიშვნელოვანია ცხოველების ჯანმრთელობის მუდმივი კონტროლი, რაც თავის მხრივ განსაზღვრავს ადამიანის ჯანმრთელობას. სტატისტიკური მონაცემებით ძველმ ქართლში ცხოველებში გავრცელებულია როგორც ინფექციური, ისე ინვაზიური დაავადებები, კერძოდ: სტაფილოკოკოზი, სტრეპტოკოკოზი, კოლიბაქტერიოზი, სალმონელოზი, ლეიშმანიოზი, პირუტყვოზი, ბრუცელოზი, ემპარი, ენტეროტოქსემია, პასტერელეზი, ღორის წითელი ქარი, ანაეროზული დიზენტერია. ასევე საშიში პათოგენებით გამოწვეული დაავადებები: ბრუცელოზი, ჯილეხი, ღორის კლასიკური შირი, ნიუკასლი და მრავალი სხვა.



ამჟამად მკითხველის ყურადღებას შევჩერებთ ბრუცელოზზე, როგორც ქვემო ქართლის რეგიონში ყველაზე გავრცელებულ დაავადებაზე. აქ ბრუცელოზის შემთხვევები გვხვდება როგორც ცხოველებში, ასევე ადამიანებში.

ბრუცელოზი ქრონიკულად მიმდინარე ინფექციური დაავადებაა და ცნობილია მისი აღმძვრელის 6 სახე. თითოეული მათგანი არის ბრუცელოზის გამომწვევი სხვადასხვა სახეობის ცხოველში. ბრუცელოზით ავადდება ყველა სახის ცხოველი, ასევე ადამიანი, რომლისთვისაც განსაკუთრებით საშიშია ცხვრისა და თხის ბრუცელოზი. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპით ავადდება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვიც.

ბრუცელოზის ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 2-4 კვირა. თუ ამთვისებელ სულადობაში არ იმყოფება მაკე პირუტყვი, მაშინ დაავადება მიმდინარეობს უსიმპტომოდ, ხოლო ყველა სახის მაკე პირუტყვში ბრუცელოზი მიმდინარეობს აბორტებით მაკეობის მეორე ნახევარში: ძროხებში – მე-5-8 თვეზე, ცხვარსა და თხაში – მე-3-5 თვეზე, ხოლო ღორებში აბორტი შეიძლება განვითარდეს მაკეობის როგორც პირველ, ისე მეორე ნახევარში. აბორტი მიმდინარეობს მომყოლის შეჩერებით, ენდომეტრიტებით, ფალოპის მილების დაზიანებით, რაც საბოლოოდ, იწვევს უნაყოფობას და ბერწიანობას.

ბრუცელოზზე დიაგნოზი ისმება

ბაქტერიოლოგიური, სეროლოგიური და ალერგიული გამოკვლევების საფუძველზე. რა თქმა უნდა, მხედველობაშია მისაღები ეპიზოტოური მონაცემები და დაავადების კლინიკური ნიშნები.

ბრუცელოზზე ბაქტერიოლოგიური გამოკვლევისათვის იგზავნება აბორტირებული ნაყოფი ან კუჭის შიგთავსი, ღვიძლის, ელენთის ნაჭრები, ლიმფური კვანძები. სეროლოგიური გამოკვლევებისთვის კი იგზავნება რძე, სისხლი ან სისხლის შრატის ალბუმი აბორტირებული ან სადიაგნოსტიკო მიზნით დაკლული ცხოველიდან.

სინჯებისა და პათოლოგიური მასალის ალბუმისა და ცულის უნდა იქნას უსაფრთხოების წესები, რომ ადამიანი არ დასნებოვნდეს. ადამიანი შეიძლება დაავადდეს დაინფიცირებულ ცხოველთან კონტაქტით (მოვლა-შენახვა, დაკვლა), ასევე არაპასტერიზებული რძის და რძის პროდუქტების (ყველი, კარაქი, არაჟანი), არასათანადოდ მომზადებული ღორის ხორცის ან მისი პროდუქტების (შებოლილი ღორის ან ძეხვის) მიღებით.

ადამიანებში დაავადება ვლინდება სერიოზული გართულებებით. კერძოდ, ართრიტი, ორქიტი, იმპოტენცია, ოსტეომიელიტი, და სხვა დაზიანებებით, რომლებიც ცენტრალურ ნერვულ სისტემას უკავშირდება.





განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს დაავადების დროულ და სწორ დიაგნოსტიკას, რასაც მაღალ პროფესიულ დონეზე ახორციელებს სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია, ქვემო ქართლის რეგიონში – მარნეულის ლაბორატორია, რომელიც დაკომპლექტებულია კვალიფიციური სპეციალისტებით და მომხმარებელს სთავაზობს დროულ, სწრაფ და ხარისხიან მომსახურებას ცხოველთა დაავადების დიაგნოსტიკაზე, ასევე ლაბორატორიულ

გამოკვლევებს საკვები პროდუქტის ვარგისიანობაზე.

მარნეულის ლაბორატორიის სპეციალისტების მიერ მარტო 2014 წელს გამოკვლეულია 67979 სისხლის სინჯი. აქედან 427 შემთხვევაში მიღებულია დადებითი შედეგი. თუ გადავხედავთ წინა წლების გამოკვლევის მონაცემებს 2012 და 2013 წელთან შედარებით გაიზარდა როგორც შემოსული სინჯების, ასევე მიღებული დადებითი შედეგების რაოდენობა. კერძოდ 2012 წელს შემოვიდა 33607 სისხლის სინჯი და მიღებულია 112 შემთხვევაში დადებითი შედეგი, ხოლო 2013 წელს შემოვიდა 21540 სინჯი და ბრუცელოზი დადგინდა 114 სინჯში. გამოკვლევები ბრუცელოზზე მარნეულის ლაბორატორიაში ტარდება რობზენგალის მეთოდით, მიღებული დადებითი შედეგების მქონე სისხლის შრატები იგზავნება დიაგნოზის დადასტურებაზე სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის თბილისის ზონალურ დიაგნოსტიკურ ლაბორატორიაში.

გამოკვლევით მიღებული დადებითი შედეგის გამოვლენისას

ცხოველი უნდა დაიკლას, რადგანაც დაავადებული ცხოველის შენახვა ან ცოცხლად გაყიდვა სასტიკად აკრძალულია. ამიტომ აუცილებელია მოსახლეობის მეტად დაინტერესება, აქტიურობა, რათა წელიწადში 2-ჯერ ჩატარდეს პირად საკუთრებაში მყოფი პირუტყვის სათანადო გამოკვლევა, რაც უზრუნველყოფს პირუტყვის გაჯანსაღებას და დაიცავს ადამიანებს ამ საშიში დაავადებისაგან.

სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის და მის ქსელში შემავალი თერთმეტი რეგიონული ლაბორატორიის სპეციალისტები გთავაზობენ მაღალკვალიფიციურ დიაგნოსტიკურ მომსახურებას სწრაფად, იაფად და ხარისხიანად არამარტო თბილისში, არამედ ქვეყნის მასშტაბით.

ძმობან კვანტალიანი,
ბარბე შიტაძე, ნინო ჟონიძე
მარნეულის საველე სადგურის მთავარი სპეციალისტები, სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია

ფარმაცეპისთვის

ეკოლოგიურად უსაფრთხო ჰუმინურ-ორგანული სასუქი „აგროვიტა“

შპს „აგროვიტა“ ორგანულ-მინერალური სასუქის მინისანარმო შექმნა. კომპანია 2010 წლიდან მომხმარებელს პესტიციდებთან ერთად მცენარეთა კვების უნივერსალური სასუქიც შესთავაზა. პროდუქტმა გაიარა ყველა სახის გამოცდა და დარეგისტრირებულია, როგორც ჰუმინურ-ორგანული სასუქი, საფირმო სახელწოდებით „აგროვიტა“. მიზანია, რომ სოფლის მეურნეობაში ადგილობრივი წარმოების შექმნა უაღრესად მნიშვნელოვანია. აღსანიშნავია, რომ კომპანია სისტემატურად აწვდის ინოვაციურ ტექნოლოგიას. წელს გაზარდა სარეალიზაციოდ გამოვიდა ახალი პროდუქტი ფართო მომხმარებლისათვის – „აგროვიტა გამზადებული მომხმარებლისათვის“ თავისი გამაფრთხილებით.

ამ საკითხებზე გვესაუბრება შპს „აგროვიტას“ ინოვაციური პროექტების მენეჯერი, პროფესორი ქრისტე კახნიშვილი.

– ბატონო ქრისტე, თუ შეიძლება მოკლედ მოგვიყევით ადგილობრივი სასუქის წარმოების ისტორია.

სასუქის მიღების ტექნოლოგია ავტორთა ჯგუფის მიერ შემუშავებულია 2000-2005 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დურმიშვილის ბიოქიმიის და ბიოტექნოლოგიის აგროეკოლოგიის

ლაბორატორიაში. 2005 წელს ტექნოლოგია დაპატენტდა საავტორო უფლების სახით. 2013 წელს ჩვენი ჯგუფის მიერ დაპატენტებული იქნა ორგანულ-მინერალური სასუქის სანარმოო მოდელი, რომელიც საფუძვლად უდევს წარმოებას (ქ.კახნიშვილი, კ.ხუციშვილი – patenti U1849, 2015.03.10).



– ვინ განახორციელა საწარმოს ინვესტირება?

2009 წელს ტექნოლოგიით დაინტერესდნენ შპს „აგროვიტას“ დამფუძნებლები და მოხდა შეთანხმება ტექნოლოგიის კომერციალიზაციის პროექტზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შპს „აგროვიტა“ არის გერმანული კომპანია „BASF“-ის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში და ერთ-ერთი ლიდერია მცენარეთა დაცვის საშუალებების ბაზარზე. ხელშეკრულების მიხედვით საწარმოს შექმნისათვის ფინანსური ინვესტიცია მთლიანად განახორციელა კომპანია „აგროვიტამ“, ხოლო ჩვენ ავიღეთ პასუხისმგებლობა პროდუქციის წარმოებაზე და ტექნოლოგიურ ზედამხედველობაზე. სასუქის პირველი პროდუქცია ბაზარზე შევიდა 2010 წელს.

– რით განსხვავდება თქვენს მიერ წარმოებული სასუქი ანალოგებისაგან?

საერთაშორისო ბაზარზე, მ.შ. საქართველოშიც მრავალი სახის სასუქია. მათი ძირითადი უმრავლესობა სინთეზური გზებითაა წარმოებული და ფართო მოხმარება გარკვეულ ეკოლოგიურ რისკებთანაა დაკავშირებული. ჩვენს მიერ წარმოებული სასუქი ბუნებრივი, ადგილობრივი ჰუმატების შემცველი ნედლეულიდან იწარმოება (ტორფი, საპროპელი, ლეონარდიტი), ეკოლოგიურად უსაფრთხოა და დაფუძნებულია ინოვაციურ ტექნოლოგიაზე. მომხმარებლისთვის ადვილად გასაგები ენით გეტყვით, რომ ბუნებაში არსებული ჰუმატები რთული ორგანული, წყალში უხსნადი ნაერთებია და მცენარის მიერ პრაქტიკულად ვერ შეითვისებიან. მეცნიერთა მიერ დადგენილია, რომ ისინი მხოლოდ თანამედროვე ტექნოლოგიური გადამუშავების შემდეგ შეითვისებიან მცენარის მიერ და მხოლოდ ამის შემდეგ იძლევიან ეფექტს. ჩვენს მიერ გამოყენებული ინოვაციური ტექნოლოგია უზრუნველყოფს ტორფის შემცველი ჰუმატების და სხვა მცენარისათვის სასარგებლო ნაერთების ჰიდროლიზის და დისპერსიის ისეთ დონეს, რომ ისინი გადადიან მარტივ, წყალში ხსნად ფორმებში, რომლებიც ადვილად შეითვისებიან

მცენარის მიერ. გამოკვლეულია, რომ ჩვენს მიერ წარმოებული სასუქი „აგროვიტა“ არცერთი მაჩვენებლით არ ჩამოუვარდება უცხოურ და ადგილობრივ ანალოგებს.

– ვინ არის თქვენი პროდუქციის მომხმარებელი და რამდენად მზარდია მისი მოხმარება?

ჯერჯერობით სასუქი მხოლოდ ქართულ ბაზარს მიეწოდება. იგეგმება მისი ექსპორტი მეზობელ ქვეყნებში. ამ საკითხებზეც აქტიურად ვმუშაობთ. სასუქი არის უნივერსალური იმ თვალსაზრისით, რომ გამოიყენება ყველა სახის მცენარეთა გამოკვებისათვის,

თავისუფლდება ჰერბიციდის სტრესული მოქმედებისაგან, ხოლო სარეველა მცენარეზე ჰერბიციდის მოქმედება ძლიერდება. ჰუმინურ-ორგანული სასუქი მინერალურისაგან განსხვავებით ხანგრძლივი-პროლანგირებული მოქმედებისაა და გარდა მცენარის სტიმულაციისა ინვესს ნიადაგის სტრუქტურულ გაუმჯობესებას და ხელს უწყობს სასარგებლო მიკროფლორის გამრავლებას.

რაც შეეხება ბაზარზე მოთხოვნას, მისი რეალიზაცია მზარდია და ყოველწლიურად მატულობს. ამ თვალსაზრისით კომპანია გეგმავს



როგორც ფესვური, ასევე ფოთლოვანი გამოკვების წესით. შესაძლებელია მცენარისათვის როგორც წვეთოვანი სისტემით მიწოდება, ასევე ფოთლებზე შესხურება. მოხმარება, როგორც ღია გრუნტში, ასევე სასათბურე პირობებში. სასუქი წარმატებით გამოიყენება ქალაქის და მოედნების გამწვანებაში. მომხმარებლისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია სასუქის თავსებადობა სხვა პრეპარატებთან (ჰერბიციდები, ფუნგიციდები, ინსექტიციდები). ეს იმას ნიშნავს, რომ მომხმარებელი ერთიდაიგივე ხარჯებში უზრუნველყოფს გამოკვებასაც და მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლასაც. განსაკუთრებით მაღალ ეფექტს იძლევა ჰერბიციდთან ერთად სასუქის გამოყენება. ამ დროს კულტურული მცენარე

დიღერებთან და მომხმარებლებთან საქმიანობის გააქტიურებას.

– რა შედეგებს უნდა ელოდოს მომხმარებელი თქვენს მიერ წარმოებული სასუქის გამოყენების შემთხვევაში?

სასუქის გამოყენების საბოლოო შედეგი აისახება მოსავლიანობის რაოდენობის და ხარისხის მატებაში. გარდა ამისა სასუქის გამოყენებით მიიღწევა შემდეგი ეფექტები:

– აჩქარებს თესლის გაღივებას, ნერგების გადარგვისას აუმჯობესებს გახარების ხარისხს, აძლიერებს ფესვთა სისტემას, ხელს უწყობს ნიადაგში არსებული საკვები ნივთიერებების შეთვისებას;

– ზრდის მაღალი კვებითი ღირებულების ნივთიერებების შემცველობას მოსავალში, აუმჯობესებს ნაყოფის შენახვის ხანგრძლივობას, ამაღლებს



მცენარის გამძლეობას სტრესული სიტუაციებისადმი, მათ შორის გვალვის, მოყინვისა და ნიადაგის დამლაშების მიმართ;

– ჰერბიციდებთან ერთად გამოყენების შემთხვევაში, კულტურულ მცენარეს იცავს სტრესისაგან და ხელს უწყობს მის გამოკვებას საჭირო ელემენტებით;

– ინვესტია ნიადაგის სასარგებლო მიკროფლორის სტიმულაციას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ნიადაგში ჰუმუსის აღდგენას;

– სასუქი „აგროვიტა“ წარმატებით გამოიყენება ნიადაგის განოყიერების და რეკულტივაციის საქმეში.

სასუქი გამოიყენება წყალში გახსნილი სახით როგორც დამოუკიდებლად, ასევე მცენარეთა დაცვის საშუალებებთან და სასუქებთან ნარევის სახით.

– თუ ინარმოვბ ანალოგიური სასუქები განვითარებულ ქვეყნებში?

– მთელს მსოფლიოში, განსაკუთრებით კი განვითარებულ ქვეყნებში, ჰუმინურ-ორგანული სასუქებისადმი ინტერესი განსაკუთრებით გაიზარდა უკანასკნელ პერიოდში. ისინი მიჩნეულია „მომავლის ტექნოლოგიებად“. განსაკუთრებული ინტერესი ჰუმინური სასუქებისადმი ე.წ. „ორგანულ მინათმოქმედებს“ აქვთ, რომელთა მიზანია ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება. ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებზე კი მოთხოვნილება ყოველწლიურად იზრდება. ქართულ ბაზარზე ჩვენი პროდუქციის ანალოგიური სასუქები შემოაქვთ სხვადასხვა ქვეყნებიდან. ჩვენს მიერ შედარების მიზნით შესწავლილი იქნა მათი ეფექტურობა. აღსანიშნავია, რომ არცერთი მაჩვენებლის მიხედვით უცხოური ანალოგები უკეთესი არ არიან ჩვენს მიერ წარმოებულ სასუქზე. ამასი რწმუნდება საქართველოს მომხმარებელი.

– რა გეგმები გაქვთ სამომავლოდ?

– მინდა ჩვენი პროდუქციის მომხმარებელს ვაუწყო, რომ წელს პირველად ბაზარზე სარეალიზაციოდ შევიტანეთ ახალი პროდუქტი

– „აგროვიტა გამზადებული მოხმარებისათვის“, თავისი გამაფრქვევლით. დარწმუნებული ვარ, რომ იგი აუცილებლად დაიმსახურებს მომხმარებლის ყურადღებას. პროდუქტი განსაკუთრებით მოეწონებათ ე.წ. მოყვარულ მეყვავილეებს და მებაღე-მეზობტნეებს. მისი გამოყენება რეკომენდებულია ყველა სახის მცენარის გამოკვებისათვის – შეიცავს ბუნებრივ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, დაბალანსებულია მიკრო და მაკრო-ელემენტებით, აქვს ფუნგიციდური ეფექტი, აძლიერებს მცენარის იმუნურ სისტემას და იცავს დაავადებისაგან.

რაც შეეხება ჩვენს სამომავლო გეგმებს, კომპანია აგრძელებს ადგილობრივი წარმოების გაფართოებას და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვას სოფლის მეურნეობაში. ამჟამად დანერგვის სტადიაშია ახალი ფუნგიციდური პრეპარატი, რომელიც გარდა სტიმულაციის ეფექტისა

გამოყენებული იქნება მცენარეთა მიკრობული დაავადებების (ნაცარი, ჭრაქი, ქეცი) წინააღმდეგ. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთ კომბინაციაში შესაძლებელი იქნება მცენარეს ფოთლოვანი კვებით მიენოდოს საჭირო საკვები ელემენტები და იმავდროულად მცენარე დაიცვას დაავადებისაგან.

– სად შეიძლება შეიძინოს მომხმარებელმა თქვენი პრეპარატები?

– მომხმარებელს საჭირო პრეპარატების შეძენა შეუძლია თბილისში და საქართველოს ყველა რეგიონში მცენარეთა დაცვის სპეციალურ მაღაზიათა ქსელში. სხვათა შორის სასუქი „აგროვიტა“ სავაჭრო ქსელ „გუდვილში“, „კარფურში“, ყვავილების სპეციალურ მაღაზიებშიც იყიდება. ამასთან მომხმარებელს ვთავაზობთ უფასო კონსულტაციებს და პროფესიულ დახმარებას მათთვის საინტერესო საკითხებზე. ჩვენი მიზანია მომხმარებელი იყოს კმაყოფილი და წარმატებული.

www.agrovitae.ge;
agrovitae@gmail.com




ახალი ტექნოლოგიები მებარეშუმეობაში

შესავალი. 2015 წლის 19-24 აპრილს რუმინეთის ქალაქ სინაიაში ჩატარდა BACSA-ს (შპსი, კასპიის ზღვების და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნების მებარეშუმეობის ასოციაცია) მე-7 საერთაშორისო კონფერენცია თემაზე „ორგანული მებარეშუმეობა – დღეს და მომავალში“. კონფერენციისთვის საპარტველოს სოფლის მეურნეობის მინისტრებთან აკადემიიდან გაიგზავნა ხუთი მოხსენება (ბ. ნიკოლეიშვილი, ე. შაფაქიძე, ბ. ჯაფარიძე, თ. კუნჭულია, ნ. ბარამიძე), აგრეთვე მის მუშაოებაში მონაწილეობა მიიღო საპარტველოს დელეგაციამ, რომელშიც ლექტორი ნ. ბარამიძეც შედიოდა. საპარტველოდან წარდგენილმა მასალებმა და ნ. ბარამიძის მოხსენებამ კონფერენციაში მონაწილე ქვეყნების დიდი ინტერესი გამოიწვია, განსაკუთრებით თუთის აბრეშუმხვევიანს გამოსაკვება მარტივი ტიპის მოწყობილობა. BACSA-ს პრეზიდენტის, პროფ. პანოშორ ცანოვის თხოვნით საპარტველოს სოფლის მეურნეობის მინისტრებთან აკადემიიდან BACSA-ს მთავარ ოფისში (ბულგარეთი) გაიგზავნა თუთის აბრეშუმხვევიანს გამოსაკვები მოწყობილობის აღწერა და ესპიზური ნახაზები, რომლებიც შემდგომში დაგეგმვანთ BACSA-ს ალფასკომის წევრებს, რომლებიდანაც აკადემიაში სისტემატურად მოდის მოწყობილობა და დამატებითი შეფასებები.

უინტერესო არ იქნება თუთის აბრეშუმხვევიანს გამოკვებისათვის აღნიშნულ მოწყობილობას გაეცნონ მებარეშუმეობის დარგში მომუშავე ოჯახები, ფერმერები და სხვა დაინტერესებული პიროვნებები. სწორედ ამ მიზანს ემსახურება აღნიშნული სტატიის გამოქვეყნება.

თუთის აბრეშუმხვევიანს ხელით გამოკვების დროს ყველაზე უფრო გავრცელებულია მათი განთავსება თაროებზე ან სტელაჟებზე. ამ ტიპის დანადგარების უარყოფით მხარეს წარმოადგენს თუთის აბრეშუმხვევიანს დიდი გადაადგილებები და ნაძირის გამოცვლის დროს მათი საგრძნობი დანაკარგები, აგრეთვე სასარგებლო ფართის არარენტაბელური გამოყენება. ხელით გამოკვების დროს აღნიშნული უარყოფითი მხარეების აღმოსაფხვრელად ყოფილ საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის მებარეშუმეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დამუშავებული და მიღებულია საავტორო მოწმობა გამოგონებაზე „თუთის აბრეშუმხვევიანს გამოსაკვები მოწყობილობა“ (საავტორო მოწმობა №695667, 05.11.79. ავტორები ე. შაფაქიძე, ე. ნონკოლაური, გ. ავეტისიანი);

გამოსაკვები მოწყობილობაზე (საავტორო მოწმობა №695667) თუთის აბრეშუმხვევიანს დანაკარგებს არა



სურ. 1. თუთის აბრეშუმხვევიანს გამოსაკვები მოწყობილობა – საავტორო მოწმობა გამოგონებაზე №695667.

აქვს ადგილი და ნაძირის გამოცვლაც ნახევრად ავტომატურად ხდება. აღნიშნული მიზანი მიიღწევა გამოსაკვები ზედაპირების განლაგებით ჩარჩოზე და ამ ზედაპირების ქვეშ დახრილი სიბრტყის დამაგრებით, რომელზედაც ცვივა ექსკრემენტები და საკვების ნარჩენები; ისინი სიბრტყის დახრის გამო დაცურდებიან მასზე და ჩაიყრებიან მოწყობილობის ქვეშ მოძრავ ნაძირის გამტან ტრანსპორტიორზე ან ჯხის ყუთში. ეს მი-


იღწევა გამოსაკვები ზედაპირების ბადისებური ფსკერით და დახრილი სიბრტყის მთლიანი (ცელოფანის) ზედაპირებით. დახრილი სიბრტყეების დახრის კუთხე ისეა დამონტაჟებული ვერტიკალურ ჩარჩოზე, რომ ისინი სიგრძეში ერთმანეთს ფარავენ, რის გამოც არ ხდება ნაძირის გაფანტვა დახრილ სიბრტყეებზე (სურ. 1).

თუთის აბრეშუმხვევიანს გამოსაკვები მოწყობილობა შედგება ჩარჩოსაგან (1), რომელზედაც დამაგრებულია ბადისებური ტიპის გამოსაკვები ზედაპირები (2). ისინი განლაგებულია ერთმანეთის ქვეშ. გამოსაკვები ზედაპირები ერთი მხრიდან დამაგრებულია ჩარჩოზე, ხოლო მეორე მხრიდან მიმართულია ერთმანეთის მიმართ. თითოეული ზედაპირის ქვეშ მოთავსებულია დახრილი ზედაპირები (3), რომელთა სიგრძე აღემატება ბადისებური ტიპის გამოსაკვები ზედაპირების (2) სიგრძეს; მოწყობილობა აღჭურვილია ნაძირის გამტანი ტრანსპორტიორით (4) ან ნაძირის შესაგროვებელი ყუთით.

მოწყობილობის მუშაობის ტექნოლოგიური სქემა (სურ.1) შემდეგია: ბადისებური ტიპის გამოსაკვები ზედაპირებზე (2) განთავსებულია თუთის აბრეშუმხვევია. იქვე მათ მიეწოდებათ საკვები დაჭრილი ან მთლიანი თუთის ფოთლის სახით. გამოკვების პროცესში ექსკრემენტები და საკვების ნარჩენები ცვივა გამოსაკვები ზედაპირის (2) უჯრედებში და ვარდება გამოსაკვები ზედაპირების ქვეშ მოთავსებულ დახრილ ზედაპირებზე (3), ხოლო იქიდან დაგროვების შედეგად – ნაძირის გამტან ტრანსპორტიორზე (4), რომლის საშუალებით ნაძირი გადის საჭიე შენობის გარეთ, სადაც ის გროვდება ყუთებში შემდგომი გამოყენებისათვის.

გამოსაკვები ზედაპირების (2) მარჯვენა და მარცხენა რიგები განლაგებულია ტრანსპორტიორის მოძრაობის გასწვრივ და მას შეუძლია ჰქონდეს უფრო მეტი სიგრძე, მაგალითად 10 მ.

მოწყობილობას შემდეგი დადებითი მხარეები გააჩნია:



სურ. 2. თუთის აბრეშუმხვევიას გამოსაკვები მარტივი ტიპის სტაციონარული მოწყობილობის მოდული

– გამოსაკვები ზედაპირების ერთეულ ფართზე გაბარიტების შემცირება;

– კონსტრუქციის სიმარტივე სხვა მოწყობილობებთან შედარებით, რომლებსაც გააჩნიათ ნაძირის გამტანი მოწყობილობები;

– გამოსაკვები ზედაპირების ვენტილაციის და ჭიების აერაციის პირობების გაუმჯობესება;

– თუთის აბრეშუმხვევიას დაავადების თავიდან აცილება ნესტიანი და დაბინძურებული ექსკრემენტების არარსებობის გამო.

ზემოთ აღნიშნული გამოგონების საფუძველზე დამუშავებულია თუთის აბრეშუმხვევიას ხელით გამოსაკვები მარტივი ტიპის სტაციონარული მოწყობილობა, რომელიც წარმოადგენს გამოსაკვები ბლოკის ერთ-ერთ მოდულს (სურ. 2). იგი წარმოადგენს ორი ხუთიარუსიანი თაროს ერთობლიობის მოდულს, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან გამბრჯენებით. მოდულის ერთი ნაწილი შედგება 2,2 მ სიმაღლის ჩარჩოსაგან (1), რომელზედაც პერპენდიკულარულად განლაგებულია ალუმინის (ლითონის) კუთხვილისაგან დამზადებული თაროები (2), სულ 10 თარო. თითოეული თაროს ქვეშ დამაგრებულია დახრილი სიბრტყე (3), რომელზედაც გამოსაკვები თაროდან ცვივა ექსკრემენტები და საკვების ნარჩენები. დახრილი სიბრტყეები (3) სიგრძეში ფარავენ ერთმანეთს ისე, რომ ზედა თაროდან ჩამოყრილი ნაძირი მიმდევრობით ეცემა დახრილ

სიბრტყეებზე და შემდეგ გროვდება ნაძირის შესაგროვებელ ყუთში ან ნაძირის გამტან ტრანსპორტიორზე, რომლის საშუალებით ნაძირი გადის საჭიე შენობის გარეთ, რაც საგრძნობლად აუმჯობესებს გამოკვების ეკოლოგიურ პირობებს.

თუთის აბრეშუმხვევიას გამოსაკვები მარტივი ტიპის სტაციონარული მოწყობილობის მოდული შედგება ორი ცალი დამოუკიდებელი სექციისაგან (სურ. 2). სექციის გაბარიტებია: 2200X800X750 მმ; იგი შედგება ოთხი ცალი ვერტიკალური დგარისაგან (1), ხუთი ცალი გამოსაკვები თაროს მიმმართველისაგან (2), ჰორიზონტალური ვერტიკალურად დახრილი გამბრჯენებისაგან, რომლებიც უნარჩუნებენ სექციას მდგრადობას როგორც ვერტიკალურ, ისე ჰორიზონტალურ სიბრტყეებში. გამოსაკვები თაროს მიმმართველები დამზადებულია ალუმინის (ლითონის) კუთხვილისაგან ზომით 25X25 მმ; ისინი დაშორებულია საყრდენი სიბრტყიდან 400 მმ-ით, თაროებს შორის მანძილია 400 მმ.

თუთის აბრეშუმხვევიას გამოსაკვები მარტივი ტიპის სტაციონარული მოწყობილობის მოდულის სექცია შედგება ათი თაროსაგან, რომელთა გამოსაკვები ზედაპირების საერთო ფართობი 6,0 მ²; იმის მიხედვით, თუ რა ფართობის საჭიე შენობა გააჩნია კონკრეტულ ფერმერს, მას შეუძლია იქ განლაგოს რამდენიმე მოდული და ჩაატაროს გამოკვებები. აღსანიშნავია, რომ ორი მოდულის შემთხვევაში გამოსაკვები ფართი იქნება 12,0 მ², სამი



სურ. 3. თუთის აბრეშუმხვევიას გამოსაკვები მოწყობილობა (სანარმოო ვარიანტი).

მოდულის შემთხვევაში – 18 მ², ოთხი მოდულის შემთხვევაში – 24 მ² და ა.შ.

ერთი მოდული საჭიე შენობაში იკავებს ფართობს 1800X800 მმ, ე.ი. დაკავებული ფართი იქნება 1,44 მ²; შესაბამისად ორი მოდულის შემთხვევაში საჭიე შენობაში დაკავებული ფართი იქნება 2, 88 მ², სამი მოდულის შემთხვევაში დაკავებული ფართი იქნება 4,32 მ², ოთხი მოდულის შემთხვევაში – 5,76 მ² და ა.შ. აღნიშნული გაანგარიშებები მოცემულია ცხრილში 1.

დამუშავებულია თუთის აბრეშუმხვევიას გამოსაკვები მარტივი ტიპის მოწყობილობის კონსტრუქციის მუშა ნახაზები და სტამბური წესით დაბეჭდილია რეკომენდაციები. დამზადებული იქნა თუთის აბრეშუმხ-

ცხრილი 1.

გამოსაკვები მოწყობილობის მოდულების რაოდენობა	გამოსაკვები მოწყობილობის მიერ დაკავებული ფართი, მ ²	გამოსაკვები ზედაპირების ფართი, მ ²	შენიშვნა
1	1,44	6,0	
2	2,88	12,0	I-II-III ასაკი – იკვებება ერთი კოლოფი
3	4,32	18,0	
4	5,76	24,0	I-II-III ასაკი – იკვებება ორი კოლოფი
5	7,20	30,0	
6	8,64	36,0	I-II-III ასაკი – იკვებება 2,5 კოლოფი; IV ასაკი – იკვებება 1,0 კოლოფი.
7	10,08	42,0	
8	11,52	48,0	I-II-III ასაკი – იკვებება 3,0 კოლოფი; IV ასაკი – იკვებება 1,5 კოლოფი.
9	12,96	54,0	
10	14,40	60,0	I-II-III ასაკი – იკვებება 4,0 კოლოფი, IV ასაკი – იკვებება 2,0 კოლოფი; V ასაკი – იკვებება 1,0 კოლოფი.

ვეევიას გამოსაკვები დანადგარები ნაძირის შესაგროვებელი მოწყობილობით (ხუთი მოდული) 0,5 – 0,7 კოლოფი ჭიისათვის, რომელიც დანერგილი იქნა თერჯოლის რაიონის რამოდენიმე ფერმერულ მეურნეობაში (სურ. 3,4).

სტატიაში განხილული თუთის აბრეშუმხვევიას გამოსაკვები მოწყობილობა შესაძლებელია ფერმერებმა ან ფერმერულმა გაერთიანებებმა ადგილზეც დაამზადონ, რისთვისაც ნებისმიერი კონსულტაციისათვის მათ შეუძლიათ მიმართონ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას.

ილგუჯა ზაფაძიძე,
საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემიის
ნევრ-კორესპონდენტი,
ტენიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი.



სურ. 4. თუთის აბრეშუმხვევიას გამოსაკვები მოწყობილობაზე გამოკვების პროცესი.

მცირე მეურნეობათვის

ფრინველის გამოზრდა საკარმიდამო ფარმერული ტიპის მეურნეობებში


მეფრინველეობის პროდუქცია მსოფლიო მასშტაბით განიცდის დიდ კონსერვაციას. იმისათვის, რომ გაზარდო შენარჩუნდეს კონსერვაცია-რიანობა, საჭირო ხდება, უზუალოდ მომხმარებლის მოთხოვნის გათვალისწინება. მომხმარებელი ყოველთვის უპირატესობას ანიჭებს ზუნაგრივ პირობებში გამოზრდილი ფრინველისაგან მიღებულ ორგანულ პროდუქციას, ამიტომ მათი საზაზრო ფასი უფრო მაღალია.

კონკურენტუნარიანობა განპირობებულია იმით, რომ ბუნებრივ პირობებში ფრინველისათვის იქმნება ხელსაყრელი გარემო, რაც დადებით გავლენას ახდენს კვერცხისა და ხორცის ხარისხზე. ძირითადად ასეთი გარემოს შექმნა შესაძლებელია ბიომეურნეობებში, სადაც ფრინველის კეთილდღეობისთვის გათვალისწინებულია ეზოს ფართობი (1 ფრთაზე 6-8 მ²), ვინაიდან ფრინველი უმეტეს ნაწილს ატარებს სუფთა ჰაერზე, სარგებლობს ბუნებრივი საკვებით და მზის სხივებით, ნიადაგში კენკვის გზით დამატებით მოიპოვებს საკვებს. სწორედ ასეთ პირობებს ადგილობრივი ფრინველი ყველაზე უკეთ ეგუება. უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი ფრინველის გენეტიკური რესურსების შენარჩუნება არა მარტო ჩვენი,

არამედ მსოფლიო პრობლემაცაა, რადგან მეფრინველეობა ეყრდნობა მცირე გენეტიკურ ბაზას. ცნობილია, რომ ფრინველის სასოფლო-სამეურნეო ჯიშები თავიანთი წარმოშობით თითქმის ერთგვაროვანია, ამიტომ ევოლუციური პროცესი შემდგომში აუცილებლად გამოიწვევს ძვირფასი ალელებით გაღარიბებას, ან დაკარგვას. სელექციის შემდგომი პროგრესი კი შეუძლებელია გენეტიკური მრავალფეროვნების გარეშე, რადგანაც ახალი ჰიბრიდების გამოყვანა აუცილებლად მოითხოვს ამაყამად “არაეკონომიური” ფრინველის გენოფონდის სელექციაში ფართო ჩართვას. სწორედ ასეთი იშვიათი გენების მატარებელია საქართველოში უხსოვარი დროიდან გავრცელებული ჩალისფერი, შავი, მეგრულა ყელტიტ-

ველა და ნაცარა ქათმები, რომლებიც ხასიათდებიან კვერცხისა და ხორცის საუკეთესო ხარისხით, რეზისტენტობით, არ მოითხოვენ კვება-მოვლის იდეალურ პირობებს და მსუბუქი ტიპის საფრინველშიც თავს კარგად გრძნობენ. უკანასკნელ წლებში ჩვენ ქვეყანაში შემოყვანილმა ჰიბრიდულმა ფრინველმა გაქრობის პირამდე მი-





იყვანა ეს უნიკალური ჯიშები. მათზე შეწყვეტილია ყოველგვარი მეცნიერული მუშაობა, რომლის განახლებაც აღნიშნული ფრინველის შენარჩუნების აუცილებელი პირობაა.

ჩვენ ქვეყანას მეფრინველეობის განვითარების უდიდესი ტრადიციები გააჩნია. თუ დავეყრდნობით ისტორიულ წყაროებს, ვნახავთ, რომ 1900-იანი წლების დასაწყისში საქართველოდან გაჰქონდათ ცოცხალი ფრინველი და მეფრინველეობის პროდუქტები (კვერცხი, ხორცი და ბუმბული) ევროპის ისეთ ცნობილ ბაზრებზე, როგორებიც იყო ჰამბურგის, ვენის, ლონდონის და ა.შ. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული მეცხოველეობა და მათ შორის მეფრინველეობა თითქმის აღარ ვითარდებოდა ჩვენ ქვეყანაში, რამაც დიდი დაღი დაასვა ქვეყნისათვის ესოდენ მნიშვნელოვან და სტრატეგიულ დარგს. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდში, სასიხარულოდ, კვლავ შეიმჩნევა მართალია უმნიშვნელო, მაგრამ სასიკეთო ძვრები მეფრინველეობის კუთხით. მოსახლეობა კვლავ ინტერესდება საკარმიდამო (ფერმერული) ტიპის მეურნეობებში ფრინველის მოშენებით.

ადგილობრივი ქათმები კომბინირებული, ანუ მეკვერცხულ-მეხორცული მიმართულებისაა. მათი მოშენება საკარმიდამო მეურნეობებში საკმაოდ იოლია. ფერმერულ მეურნეობებში ასევე შესაძლებელია შემოყვანილი და კულტურული ჯიშების მოშენებაც. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოჯახურ მეურნეობებში გაცილებით მარტივია ადგილობრივი პოპულაციის ფრინველის

მოშენება. სტატიაში შემოგთავაზებთ საკარმიდამო (ფერმერული) ტიპის მეურნეობებში ფრინველის მოშენების შედარებით რენტაბელურ გზებს.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს ფრინველის შენახვის ორი სისტემა: 1. გალიური შენახვა და 2. იატაკზე შენახვა. ეს უკანასკნელი იყოფა ღრმა საფენზე, მავთულ, ან პლასტმასისბადიან იატაკზე შენახვად.



მეურნეობებში უფრო მიღებულია ღრმა საფენზე შენახვა. ღრმა საფენზე გამოზრდისას ფრინველი თავისუფლად მოძრაობს და უფრო მიახლოებულია ბუნებრივ პირობებთან, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ხორცის ხარისხს. მისი მონყობის წესი ასეთია: ბეტონის იატაკზე ყოველ

ერთ კვადრატულ მეტრზე აყრიან 0,5 კგ ჩამქრალ კირს, შემდეგ 5სმ სიმაღლეზე უმატებენ საფენს, რომელიც უნდა იყოს მშრალი (ტენიანობა 25%). საფენად იყენებენ ნახერხს, ნამჯას, ბურბუშელას და სხვ. დაბინძურების მიხედვით საფენს თანდათან უმატებენ. მას ცვლიან 6-7 კვირაში ერთხელ.

გალიური გამოზრდის უპირატესობა შემდეგია: იზრდება საფრინველეში დასმის სიმჭიდროვე; ადვილდება ფრინველის ყოველდღიური დათვალიერება; მცირდება საკვების დანახარჯი; თავიდან არის აცილებული საფენის შეძენისას გაწეული ხარჯები; ადვილდება ვეტ-პროფილაქტიკური ღონისძიებები.

საკარმიდამო ტიპის მეურნეობაში ფრინველის შენახვის შემთხვევაში უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია მოეწყოს მარტივი ტიპის საფრინველე. ასეთი საქათმე შესაძლებელია გაკეთდეს შემდეგი გათვლით: 4 კვერცხმდებელ ქათამზე 1 მ². შენობის იატაკი ამალგებულია ნიჟარადიდან 15-20 სმ-ით, ღრმა საფენზე შენახვის შემთხვევაში საფრინველეში უნდა მოწყობილი იყოს საკვებურები, სარწყულებლები, სხვადასხვა ინვენტარი (საბუდარი, ქვიშიანი ყუთი). საფრინველესთან აუცილებლად უნდა მოეწყოს სეირანი. 2,2 მ სიმაღლის მავთულბადით უნდა შემოიღობოს საფრინველის მიმდებარე ტერიტორია. ეწყობა 40X40 სმ ზომის ხვრელი შენობიდან სეირანზე გასასვლელად. საბუდარი მზადდება გარანდული და ნავთით გაყვანილი ფიცრისაგან. საბუდარი მაგრდება 55-70 სმ სიმაღლეზე. საბუდარის ქვეშ იდება 15-18 სმ. სიმაღლის ყუთები ნაცრისა და სილის ნარევით. ნაცარი საჭიროა პარაზიტებთან საბრძოლველად.

საფრინველის მშენებლობისას და შემდგომ პერიოდში აუცილებელია ზოოჰიგიენური პირობების დაცვა. ქანდარების მოსაწყობად იხმარება მრგვალი, გარანდული, ნავთში გაყვანილი ჯოხი; საფრინველეში უნდა იყოს +18-22°C ტემპერატურა. საქათმეში ჰაერის ცვლისათვის ჭერში უნდა გაკეთდეს რამდენიმე გამწოვი მილი ფიცრებისაგან (22x22 სმ), რომელიც სახურავს ასცდება 60

წინილუბისთვის მარტივი საკვების რეცეპტი, %
(ცილოვან-ვიტამინოვანი დანამატის ბარეში)

კომპონენტები	საკვების ვარიანტი			
	I	II	III	IV
სიმინდი	45	50	35	35
ხორბალი	15	15	--	10
ქერი	10	10	15	20
სორგო	10	5	20	--
ბარდა ან სოიო	--	--	10	25
მზესუმზირის კობტონი	5	5	5	5
ბალახის ფქვილი	10	10	10	10
კალციუმი (ცარცი), კირქვა, ან ნიჟარა	5	5	5	5
სულ	100	100	100	100

სმ-ით. აუცილებლად უნდა გამოინახოს ფანჯრების გაღების შესაძლებლობა შენობის განივებისთვის. განათების უზრუნველსაყოფად ყოველ 10 მ² ფართობზე საკმარისია ერთი 60 ვტ. ნათურა, დამაგრებული 2 მ სიმაღლეზე. სასეირანო ადგილი უნდა ისე დავიანგარიშოთ, რომ სასურველია თითო ქათამზე მოდიოდეს 2-3 მ² მაინც;

ქათმის კვება. 40%-იანი კვერცხდების ინტენსივობის პირობებში 1 ფრთას დღეში ეძლევა საშუალოდ 140-145 გ საკვები, რომლის ყოველი 100 გ უნდა შეიცავდეს 16-17 გ ნედლ პროტეინს, 220 კკალ მიმოცვლის ენერგიას და 1-1,2 საკვებ ერთეულს. თითო კვერცხის წარმოსაქმნელად ორგანიზმი ხარჯავს 2,1-2,2 გრ კალციუმს. სხვა ფიზიოლოგიურ პროცესებზე კიდევ იხარჯება 0,2 გრ. ფრინველის ორგანიზმი საკვებიდან ითვისებს მხოლოდ 50% კალციუმს, ამიტომ საჭიროა კვერცხმდებელს დღეში მიეცეს 2-ჯერ მეტი კალციუმი, ანუ 4,5 გ-დან 5 გ-მდე. კალციუმი ფრინველს შესაძლებელია მიეცეს ცარცის, წვრილი ქვიშის ან დაფქული ნიჟარის სახით. ამასთან ერთად, ფრინველისთვის აუცილებელია მწვანე მასა 1 ფრთაზე 15-20 გ დღეში. საკვები რაციონი უნდა იყოს მრავალფეროვანი. ზამთარში ვიტამინების საუკეთესო წყაროა წვრილად დაქუცმაცებული წიწვები (დღელამეში 2-5 გრ). აუცილებელია საკვებში კალციუმის და ფოსფორის ბალანსის შენარჩუნება. მათი ოპტიმალური შეფარდებაა 2 : 1. კალციუმის და ფოსფორის თანაფარდობას არეგულირებენ ვიტამინები.

ზაფხულში დილით უკეთესია რბილი საკვების მიცემა – ხორბლის ქატო, შერეული სადილის ნარჩენებთან. შუ-

ადლისას – ცოტა-ოდენი წინიზურა, ბრინჯი, ბარდა; საღამოს კი – ქერი ან შვრია. კვერცხმდებელი ქათმებისათვის დილით შვრია მწვანილით, შუადღეზე – ბარდა ან ოსპი. ქერი ნაკლებად ყუათიანია ქათმებისთვის. ქერი უმჯობესია მივცეთ დალერლილი სახით. ყვითელი სიმინდი

და ხორბალი ასევე კარგი საკვებია როგორც ზამთარში, ასევე ზაფხულში. შეიძლება მივცეთ დილით და შუადღეზე. წინიზურა კარგია მეხორცული ქათმებისათვის. ზამთრისათვის შეიძლება დავამზადოთ ვიტამინიანი საკვები. სიმინდის მარცვალის მდიდარია ცხიმით და სახამებლით იგი ითვლება საუკეთესო ზამთრის საკვებად. საღამოს კვების დროს დაახლოებით 0,4 კგ 4 ქათამზე (2 კგ ცოცხალი მასით) შეიძლება მივცეთ მწვანილი და სხვადასხვა ბოსტნეული შერეული ქატოსთან ოდნავ მოხარშული და დაქუცმაცებული სახით.

წინილუბისთვის პირველი საკვების მიცემა გამოჩეკიდან 12-18 საათის შემდეგ შეიძლება. ეძლევა ცოტა-ოდენი მაგრად მოხარშული წვრილად დაჭრილი კვერცხი – პირველი 4-5 დღე. მე-2 დღიდან შესაძლებელია დალერლილი სახით მარცვლოვანი საკვების მიცემა. მარცვლეულიდან

კარგია დალერლილი სიმინდი, შვრია, ხორბალი, ხოლო დაუღერლავი მარცვლეულის მიცემა შეიძლება 2 თვის შემდეგ.

საშუალოდ ერთ კვერცხმდებელზე დღე-ღამეში საჭიროა 115 გ საკვები გალიური შენახვისას და 120 გ საკვები იატაკზე შენახვისას.

შესაძლებელია დამზადდეს წინილის (განსაკუთრებით მეხორცული – ბროილერული) საკვების შემდეგი ვარიანტი: 1 კგ ცილოვან-ვიტამინოვანი დანამატი (პრემიქსი) შერეული 7 კგ დალერლილ სიმინდში. მოზარდისათვის სასურველია წყალში ხსნადი ვიტამინოვანი დანამატების (ჩიკტონიკი, განამინოვიტი) მიცემა. პროფილაქტიკის მიზნით აუცილებელია მოზარდის დამუშავება ვეტ-პრეპარატებით. კერძოდ, ვაქცინაციის და დეჰელმინთიზაციის ჩატარება.

ამრიგად, საკარმიდამო (ფერმერული) ტიპის მეურნეობებში ფრინველის გამოსაზრდელად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა შერჩეულ იქნას ისეთი ჯიშები, რომელთა მოშენება შესაძლებელი იქნება შედარებით უფრო მარტივად, ნაკლები შრომითი და ეკონომიკური დანახარჯებით. ამასთან ერთად აუცილებელია გვახსოვდეს, რომ აუცილებელია ზოოტექნიკური და ვეტერინარული ღონისძიებების გათვალისწინება.

კობა ნაცვალაძე,

სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი





როგორ შევამოწმოთ საკვებში ნიტრატები და ნიტრიტები

აზოტოვანი ნაერთები – ნიტრატები და ნიტრიტები – ორგანიზმში ჭარბად მოხვედრისას საშიშ ნივთიერებაებად გარდაიქმნება, რომლებსაც ონკოდაავადებების პროვოცირება შეუძლია. გარდა ამისა, დიდი რაოდენობით მიღებისას ნიტრატები და ნიტრიტები მოწამვლასაც იწვევს.

ნიტრატებით მდიდარია სასუქით მოყვანილი ბოსტნეული, ხოლო ნიტრიტებით – ხორცის გადამუშავებით მიღებული პროდუქტები: ძეხვი, სოსისი. ნიტრიტებს ამ პროდუქტებს საგანგებოდ უმატებენ შენახვის ვადის გახანგრძლივების მიზნით ანუ კონსერვაციისთვის. ნიტრატები ყველაზე მეტი სათბურში მოყვანილ საადრეო ბოსტნეულშია. აღსანიშნავია, რომ ნიტრატები ბოსტნეულში არათანაბრადაა განაწილებული: კომბოსტოში – გულში, კიტრსა და ბოლოკში – კანში, სტაფილოში – გულში.

როგორ დავიცვათ თავი?

ნიტრატები: ბოსტნეულის გარეცხვა-განმენდისას ნიტრატების საშუალოდ 15% იკარგება, მოხარშვისას – 40% ჭარხლიდან, 70-80% კომბოსტოდან, სტაფილოდან, კარტოფილიდან. მცენარეულ ზეთში შენვა ნიტრატების შემცველობას 15%-ით ამცირებს, ხოლო დამუყავება – 2-ჯერ, თუმცა მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ. ნიტრატების შემცველობა მცირდება შენახვის დროსაც – რამდენიმე თვის განმავლობაში 30-50%-ით. განსაკუთრებით ეფექტურია ბოსტნეულის შენახვა დაბალ

ტემპერატურაზე. ნიტრიტები: მათგან თავის დასაცავად რეკომენდებულია ზომიერად მივირთვათ ხორცის გადამუშავებით მიღებული პროდუქტები – ძეხვი, სოსისი. ზოგიერთი ნივთიერება ამცირებს აზოტოვანი ნივთიერებების მავნე ზემოქმედებას. ასეთი ნივთიერებებია C და E ვიტამინები, ტანინი, პექტინები, უჯრედისი. სწორედ ამიტომ არის შესაძლებელი მრავალფეროვანი და სრულფასოვანი მენიუთი ადამიანის ორგანიზმზე ნიტრატებისა და ნიტრიტების ნეგატიური ზემოქმედების კომპენსირება.

ეს საინტერესოა

ბუნების სანიტარი

1995 წელს 14 მგელი გაუშვეს იელოუსტონის ეროვნულ პარკში (Yellowstone National Park). ზოოლოგებს და სხვა დამკვირვებლებს ვერ წარმოედგინათ, რომ ეს სვლა მკაფიოდ შეცვლიდა პარკის ეკოსისტემას. 70 წლის განმავლობაში ეს პარკი მგლების გარეშე არსებობდა. ამავდროულად, პარკში ბინადრობდა უამრავი ირემი, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში უკონტროლოდ მრავლდებოდნენ (ადამიანების მიერ ირმების პოპულაციის კონტროლის ყველა მცდელობამ წარუმატებლად ჩაიარა), რამაც საგრძნობი ზიანი მიაყენა ფლორას.

რა საკვირველია, 14 მგელს არ შეეძლო გაენადგურებინა ყველა ირემი, თუმცა, მათ აიძულეს ირემები ფრთხილად შეერჩიათ საძოვარი ადგილები, შესაბამისად ირემები გაეცალნენ გარკვეულ ტერიტორიებს. ირმებისგან გათავისუფლებულ ადგილებზე გამრავლება დაიწყო სხვადასხვა სახეობის მცენარე, 6 წლის განმავლობაში 5-ჯერ მოიმატა ხეების რაოდენობამ; ასევე, გაჩნდნენ თახვები, რომლებიც ხით იკვებებიან და აშენებენ ფულუროებს. წყალსაცავებში მომრავლდნენ იხვები და თევზები. მგლებმა შეძლეს შეემცირებინათ ტურების რაოდენობა, რაც გახდა კურდღლებისა და თაგვების გაჩენის მიზეზი, ამან კი თავის მხრივ გამოიწვია პარკში ქორების, კვერნების



და მელიების გამოჩენა. ასევე, მივიდნენ დათვებიც, რომლებიც მგლის საკვების ნარჩენებით იკვებებოდნენ. გამრავლება დაიწყო კენკროვანმა მცენარეებმაც.

ნამდვილი მოულოდნელობა იყო, როდესაც მდინარეების კალაპოტი შეიცვალა, პარკში მგლების გამრავლების შედეგად. ტბისა და მდინარეების სანაპიროებზე შემცირდა ეროზია. ყოველივე ზემოთხსენებულის მიზეზი იყო მგლების ზემოქმედება ირმებზე, რადგან ეკოსისტემამ დაიწყო დადებითი ცვლილებები (სანაპიროზე გაიზარდა ხეები, ასევე გამრავლდა ბალახიც), შეიცვალა პარკის გეოგრაფიაც. ყოველივე ეს დამსახურებაა თოთხმეტი მგლისა, რომლებიც იელოუსტონის ეროვნულ პარკში 13 წელია ბინადრობენ.



1. ქ. თბილისი, სამთო-ქიმიის მიმდებარე ტერიტორია.
ტელ.: 597170702
2. ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი №2. ტელ.: 557595500
3. ქ. საბარეჯო, კახეთის გზატკეცილი №102, ტელ.: 597270703
4. სოფ. ჩალაშუბანი, "მეძანიზატორის" ცენტრი.
ტელ.: 597170752
5. ქ. გურჯაანი. სოფ. ახაშენი, ტელ.: 591115540
6. ქ. ყვარელი, სოფ. ზინოზიანი. ტელ.: 599431328
7. ქ. ყვარელი, სოფ. შილდა, ტელ.: 579060435
8. ქ. მარნეული, სულხან-საბას ქ. №16 ტელ.: 597469922
9. ქ. წალკა, კოსტავას ქ. №153, ტელ.: 591703957
10. ქ. ქუთაისი, სოფ. ძვითირი. ტელ.: 597110171
11. ქ. ზესტაფონი, სოფ. არგვეთი, "მეძანიზატორის" ცენტრი,
ტელ.: 571015142
12. ქ. აგროპოლისი. "მეძანიზატორის" ცენტრი. ტელ.: 597472233
13. ქ. აგაზა, სოფ. ნორიო, "მეძანიზატორის" ცენტრი.
ტელ.: 597110171



შპს „აგროპოლისი“

თბილისი 0119 წერეთლის №142 2-ე სართული ოთახი 15

ელ-ფოსტა: agrovitae@gmail.com

ვებ-გვერდი: www.agrovitae.ge

facebook-ის გვერდი: www.facebook.com/agrovitae

ტელ.: 2 34 16 78

მარცვლეულის გადაზიდვა როსსელმაშის ტექნიკით



მარცვლეულის
მაღლივი
გადასატვირთები
TMB-140/280/400



მარცვლეულის სატყორცნი თვითმავალი
M3C-90
ელექტროაღმძრავით
წარმადობა – 90 ტ-მდე/სთ.



თესლის შემწამვლელი თვითმავალი
PCM-25
ელექტროაღმძრავით
წარმადობა – 20 ტ-მდე/სთ.



მარცვლეულის
გადასამუშავებელი კომპლექსი
3MP-PCM-90
გადატვირთვა – 90 ტ/სთ.
შენამვლა – 20 ტ/სთ.



მარცვლეულის გადასატვირთი
TMB-70/140/280
ჩატვირთვის მაქს. სიმაღლე – 12,8 მ-მდე
წარმადობა – 70-დან 280 ტ-მდე/სთ.



ვალციანი წისქვილი
M3B-8
ვალცის დიამეტრი – 25 სმ
წარმადობა – 5,6-8,5 ტ-მდე/სთ.



მარცვლეულის გამწმენდი
O3M-20
ბარაზნის დიამეტრი – 122 სმ
წარმადობა – 20 ტ-მდე/სთ.

საპონტაქტო ინფორმაცია:

+995 (32) 2740740 - საქართველოს წარმომადგენლობა

+7 (863) 252-57-04, 254-36-11 - სათავო ოფისი

+7 863 250 31 14 - English language

www.kleverltd.com

ROSTSELMASH